# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 11 იანვარი, 2014 წელი.

№6 (7387)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## „რას დღეს პატრიარქის წინააღმდეგ ხდება, შანტაჟია“ ③




## დედაც და მამაც მხოლოდ ერთია... ⑦

17 მაისის შემდეგ ცალკეული არასამთავრობოები რაიმე თემის გააქტიურებას მოუთმენლად ელოდნენ და დადარაჯებულნი იყვნენ, რას იტყოდა პატრიარქი და მოიწონებდა თუ არა ფსევდო-ლიბერალურ ფასეულობებს. ის, რომ ქრისტიანობა ქორწინებას ერთ-ერთ საიდუმლოდ მიიჩნევს, ეს უდავო ჭეშმარიტებაა და, ცხადია, უწმინდესი ვერ მიესალმებოდა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას, ასეთი წყვილებისათვის ბავშვის შვილად აყვანის უფლების მინიჭებას, გაუთავებელ თუ სელექციურ (რომლებიც ძირითადად გოგონების მოკვდინებით სრულდება) აბორტებს, ხელოვნურ განაყოფიერებას და სუროგაციას, რომლითაც ბავშვი სავაჭრო საქონელი, ხოლო დედობა — ფულის კეთების საშუალება ხდება.

## ნაცმოძრაობის მილიარდების გადანაწილების საკითხი დღესაც აქტუალურია ④

## ვერაგულად მოკლული პოეტის უკვდავსაყოფად ⑨

## აღმოსავლეთ-დასავლეთის ზღვარი იშლება... ⑥






## დანგრეული განათლების ⑤ სისტემა

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

**პრემიერ-მინისტრი**

# ვისაც არ ეზარება, კანონპროექტის ცვლილებებს ახდენს



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მთავრობის წევრებს კანონპროექტების წარდგენამდე, უწყებებს მეტი კოორდინაციისა და საკითხების შეთანხმებისკენ მოუწოდებს. აღნიშნულთან დაკავშირებით ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა. იგი დაინტერესდა „საგადასახადო კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების საკითხით და ფინანსთა მინისტრს ინიცირებული კანონპროექტის შესახებ ჰკითხა.**

ნოდარ ხადურმა განმარტა, რომ ამჟამად არსებული კანონდებლობით, საგადასახადო საიდუმლოებაზე ზოგ უწყებებს მიუწვდება ხელი, ზოგს — არა.

„მაგალითად, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს აინტერესებს ინფორმაცია კონკრეტული იძულებით გადაადგილებული პირის შემოსავლების შესახებ, რომ ამის მიხედვით მათ გაატარონ ღონისძიებები. პირობითად, პირველ რიგში მისცენ თუ არა საცხოვრებელი ფართები. სამთავრობო დაწესებულების ნაწილს აქვს წვდომა ნაწილს — არა, — აღნიშნა ხადურმა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ უწყებას, რომელსაც სჭირდება ინფორმაცია, ფინანსთა სამინისტრომ უნდა მიაწოდოს.

— ვისაც სჭირდებათ, მიაწოდეთ ინფორმაცია და თუ არ სჭირდებათ, რატომ უნდა გასცეთ? ერთმანეთს შეუთანხდით ხოლმე და მერე გააკეთეთ კანონპროექტის ინიცირება, ვისაც არ ეზარება, კანონპროექტის ცვლილებას აკეთებს, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

საქართველოს მთავრობამ პარლამენტს საგადასახადო საიდუმლოებასთან დაკავშირებული მუხლის შეცვლის ინიციატივით მიმართა. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, საკანონმდებლო ინიციატივის ავტორია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.

კანონპროექტის მიხედვით, საგადასახდო ორგანოს უფლება ეძლევა, გადასახადის გადამხდელის შესახებ საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილების ან გადასახადის გადამხდელის თანხმობის გარეშე გადასცეს მთავრობას, ყველა სამინისტროს, სამართალდამცავ ორგანოს, სახალხო დამცველს, და სხვა, კანონით დადგენილ სუბიექტებს, რაც, პროექტის მიხედვით, „კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისთვის„ შეიძლება მოხდეს.

კანონპროექტის განმარტებით ბარათის მიხედვით, საკითხის განხილვა პარლამენტის საგაზაფხულო სესიისთვის იგეგმება.

# სახალხო დამცველი „ოსური ფორუმის“ შექმნას გეგმავს

**ამის შესახებ ომბუდსმენმა უჩა ნანუაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. სახალხო დამცველის თქმით, „ოსური ფორუმი“ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური ოსების მდგომარეობას და პრობლემებს შეისწავლის.**

— სახალხო დამცველი გამოდის ინიციატივით, რომ სახალხო დამცველის აპარატთან შეიქმნას სპეციალური საკონსულტაციო მუდმივმოქმედი ორგანო „ოსური ფორუმი“. საუბარია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური ოსების მდგომარეობის შესწავლის, იმ პრობლემების იდენტიფიცირების შესახებ, რომელთა წინაშეც დგანან ეთნიკურად ოსები. ჩვენ შევქმნით სპეციალურ საკონსულტაციო ორგანოს, სადაც იქნებიან მოწვეული ოსური თემის წარმომადგენლები. ამ სტრუქტურის მიზანი იქნება სახალხო დამცველს მოუმზადოს სპეციალური რეკომენდაციები, რისი მიზანიც იქნება მათი უფლებების უფრო ეფექტური დაცვა. ეს რეკომენდაციები მოიცავს, როგორც საკუთრების მხრივ არსებულ პრობლემებს, რესტიტუციასთან დაკავშირებულ საკითხებს და კანონის ამუშავებას, ასევე განათლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ენისა და კულტურის განვითარების საკითხებს. საბჭოს მუშაობაში მნიშვნელოვანი როლი დაეთმობა სამოქალაქო დიპლომატიის და ნდობის აღდგენის საკითხებს ქართული-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებით, — განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

მისივე თქმით, ასევე აქტუალურია ცხინვალისა და თბილისის ციხეებში მყოფი ეთნიკური ოსების და ქართველი პატიმრების გაცვლა და ის მომხრეა, ეს პროცესი გაგრძელდეს.

**არასრულწლოვანთა პრობლემა**

# რა რაოდენობის თანხას გადაიხდიან დანაშაულის ჩამდენნი?

**არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო, შესაძლოა, მშობელს ჯარიმა აღარ დაეკისროს. შესაბამისი ცვლილება „სისხლის სამართლის კოდექსში“ შედის, რომელიც სხვა ცვლილებებთან ერთად ჯარიმის კონცეპტუალურ ცვლილებებსაც ითვალისწინებს.**

კანონპროექტის თანახმად, გაუქმებულია არასრულწლოვნისთვის დაკისრებული ჯარიმის მშობლისთვის დაკისრების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, შემუშავებულია დღიური ანაზღაურების სისტემა, განსაზღვრულია მაქსიმალური ზღვარი დანაშაულის კატეგორიებისა და მიღებული-მისაღები შემოსავლის მიხედვით. გათვალისწინებულია ჯარიმის განწილვადების შესაძლებლობა, როცა ის არ არის გათვალისწინებული კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით.

ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 10 დღიური ანაზღაურება, ხოლო მაქსიმალური ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში 360 დღიური ანაზღაურება, მძიმე დანაშაულის შემთხვევაში — 720 დღიური ანაზღაურება, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში — 1 080 დღიური ანაზღაურება. ჯარიმის მინიმალურ ანაზღაურებას შეესაბამება 10 ლარი.

დღიური ანაზღაურების ჯამური ოდენობის მაქსიმალური ზღვარი განისაზღვრება ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში 10 000 ლარით, ხოლო თუ დანაშაულის შედეგად მიღებული-მისაღები შემოსავალი აღემატება ამ თანხას ასეთი შემოსავლის სამმაგი ოდენობით. ხოლო მძიმე დანაშაულის შემთხვევაში 100 000 ლარით ან დანაშაულის შედეგად მიღებული-მისაღები შემოსავლის ხუთმაგი ოდენობით. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში კი 1 მილიონი ლარით ან მიღებული-მისაღები შემოსავლის ათმაგი ოდენობით.

ამასთან, ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიყენებული ზიანის სასჯელის მოსალოდნელი შედეგისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლებითა და სხვა გარემოებებით. ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გათვალისწინებულია ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით. თუკი სასამართლო ჩათვლის, რომ მსჯავრდებულს მისი პირადი ან ქონებრივი მდგომარეობის გამო არ შეუძლია ჯარიმის ერთიანად გადახდა, ის უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ჯარიმის დანაწილვადების შესახებ. ჯარიმის ნაწილ-ნაწილ გადახდის უფლებას სასამართლო მიანიჭებს აგრეთვე იმ მსჯავრდებულებს, რომლებიც სხვაგვარად ვერ შეძლებს დანაშაულით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. თუ მსჯავრდებული ზედიზედ რამდენჯერმე დაარღვევს ჯარიმის გადახდისთვის დადგენილ ვადას, სასამართლოს შეუძლია, მას დააკისროს ჯარიმის გადაუხდელი ნაწილის ერთიანად გადახდა.

გარდა ამისა, თუ მსჯავრდებული თავს არიდებს ჯარიმის გადახდას, ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ჯარიმა შეიცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. მიუხედავად იმისა, რომ ითვალისწინებს თუ არა ამას კოდექსის კერძო ნაწილი შესაბამისი მუხლის სასჯელის ამ სახეს.

იუსტიციის სამინსიტრო სისხლის სამართლის კოდექსის ლიბერალიზაციაზე უკვე ერთი წელია მუშაობს.

**ინტერპრესი**

**23 წლისანი და... ზევით!**

# მანდატურის ნაცვლად, ბავშვთა დაცვის ოფიცერი

**საქართველოს საჯარო სკოლებში სასწავლო წლის განახლების შემდეგ, 20 იანვრიდან, მანდატურის სამსახური ნაწილობრივად რეორგანიზებული სახით შეუდგება მუშაობას. მოსწავლეებისთვის თვალშისაცემი ახალი ფორმების გარდა, იცვლება მანდატურის სამსახურის დასახელებაც, კერძოდ, სამსახური ბავშვთა დაცვის, მედიაციისა და ფსიქოლოგიურ სამსახურად გარდაიქმნება, მანდატურებს კი ბავშვთა დაცვის ოფიცრები ერქმევათ.**

მანდატურის ინსტიტუტი, როგორც კონტროლზე ორიენტირებული უსაფრთხოების გარანტი, ზრუნვაზე ორიენტირებული უსაფრთხოების გარანტი უნდა გახდეს, ფიქრობს საქართველოს სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის განათლების პროგრამის მენეჯერი თამარ მოსიაშვილი, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ინსტიტუტისთვის მაკონტროლებელი ფუნქციების შესუსტებისაკენ უკვე გადადგმულ ნაბიჯებს აფასებს:

„ერთი წლის წინ კანონში შევიდა ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც მანდატურს შეეზღუდა უფლებამოსილება, კერძოდ, მას აღარ ჰქონდა სკოლის შინაგანაწესის კონტროლის უფლება. ეს, მიმაჩნია, რომ ძალიან საინტერესო და კარგი გადაწყვეტილება იყო. ასევე გასულ წელს შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, 2014 წლიდან მანდატური უნდა დაექირავებინა თავად სკოლას. ამ ცვლილებებს შევაფასებდი ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურად“.

თამარ მოსიაშვილისთვის, პროფესიული დაინტერესების მიუხედავად, ჯერჯერობით ბოლომდე ნათელი არ არის, რა ფუნქციებით აღიჭურვება მანდატურის მემკვიდრე ბავშვთა დაცვის ოფიცერი უკვე მიმდინარე რეფორმის ფარგლებში. ამ საკითხის კომენტირებისას, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილემ ლევან ზარდალიშვილმა თქვა, რომ ბავშვთა დაცვის ოფიცრის უმთავრესი მოვალეობა სწორედ მოსწავლეზე ზრუნვა იქნება:

„ერთ-ერთი მთავარი და აუცილებელი იქნება პრობლემის პირველადი იდენტიფიკაცია, შემდეგი — ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, ფსიქოლოგიური უსაფრთხოების დაცვა, რათა ბავშვი ფსიქოლოგიურ კომფორტში იყოს სკოლაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირებას და შემდეგ — სათანადო ზომების მიღებას. შემდეგი მათი ფუნქცია ეს გახლავთ ჩარევა რაღაც კრიტიკულ სიტუაციაში და მცირე კონფლიქტის საკუთარი ძალით მოგვარება. გარდა ამისა, მანდატურს დაემატა ფუნქცია, რომ მას შეუძლია სკოლის პერიმეტრის გარეთ გასვლა და სხვა“.



ლევან ზარდალიშვილი ამბობს, რომ რეფორმა ამ ეტაპზე ძირითადად მანდატურთა კვალიფიკაციის ამაღლებას გულისხმობს. 1150 მანდატურიდან უკვე გადამზადებულია 300-ზე მეტი. მანდატურები სწავლობენ ადამიანის ძირითად უფლებებს, ბავშვთა უფლებებს, ბავშვთა ასაკობრივი განვითარების თავისებურებებსა და ეტაპებს, ფსიქიკური ჯანმრთელობის საფუძვლებს, რათა მათ პრობლემის შემჩნევა შეძლონ. გადიან მედიაციისა და კონფლიქტის მოგვარების სპეციალურ კურსს, სწავლობენ კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საფუძვლებს, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის უნარებს და ასე შემდეგ. გადამზადება სამეტაპიანია და საგამოცდო შეფასებას ითვალისწინებს. ბავშვთა დაცვის ოფიცერი მხოლოდ ის გახდება, ვინც წარმატებით დაძლევს საგამოცდო ტესტებს. გამოცდები 20 იანვრიდან იწყება.

მანდატურს ემატება ორი მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია, როგორებიცაა ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევა ბავშვებისა და სკოლაში დასაქმებული პირებისათვის და ასევე პროფორიენტაციაში ხელშეწყობა და დახმარება...

პარალელურად, პარლამენტის საგაზაფხულო სესიის გახსნის შემდეგ გაგრძელდება საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობაც. საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი მანდატურის ინსტიტუტის გარდაქმნას ითვალისწინებს, — გვითხრა განათლების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა დავით ლომინაშვილმა:

„კერძოდ, მანდატურს ემატება ორი მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია, როგორებიცაა ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევა ბავშვებისა და სკოლაში დასაქმებული პირებისათვის და ასევე პროფორიენტაციაში ხელშეწყობა და დახმარება. ასევე მანდატურის სამსახურს ემატება ფუნქციები, რომლის თანახმადაც, ისინი უზრუნველყოფენ მანდატურების, მომავალში ბავშვთა დაცვის ოფიცრების, მომზადებას, გადამზადებას და პროფესიული დონის ამაღლებას. აღნიშნული კანონპროექტი, მთავრობის მიერ შეტანილი პარლამენტში, კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილება“.

მანდატურის სამსახურის ბავშვთა დაცვის, მედიაციისა და ფსიქოლოგიურ სამსახურად გარდაქმნის მიზნით, ცვლილებები ძირითადად ზოგადი განათლების შესახებ კანონში უნდა შევიდეს. ამ მოსალოდნელი ცვლილებების საფუძველზე გათვალისწინებულია ბავშვთა დაცვის ოფიცრისათვის სავალდებულო მინიმალური ასაკობრივი ზღვრის დადგენაც, კერძოდ, თუ მანდატურად მუშაობა პირს 20 წლის ასაკიდან შეეძლო, ბავშვთა დაცვის ოფიცერი 23 წელზე ახალგაზრდა ვერ გახდება.

**ნონა მჭედლიშვილი**

# „რაც დღეს პატრიარქის წინააღმდეგ ხდება, შანტაჟია“

## — აცხადებს მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პალიკო კინტრაია




**მთელი ის კამპანია, რაც საპატრიარქოს წინააღმდეგ დაიგეგმა, ე.წ. საპროტესტო აქციის ჩათვლით, მას ხელოვნურად ეჩვენება და მიიჩნევს, რომ პატრიარქს არაფერი უთქვამს ისეთი, ასეთი აჟიოტაჟი ატეხილიყო. „უბრალოდ, ადამიანები ცდილობენ, ხელი მოითბონ პატრიარქის წინააღმდეგ შანტაჟით, რაც ბრბოს ფსიქოლოგიაა“.**

მართლაც, პატრიარქის საშობაო ეპისტოლეში გამოთქმულმა აზრებმა დიდი დისკუსია გამოიწვია. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ გასული წლის 17 მაისის შემდეგ ცალკეული არასამთავრობოები რაიმე თემის გააქტიურებას მოუთმენლად ელოდნენ და დადარაჯებულნი იყვნენ, რას იტყოდა პატრიარქი და მოიწონებდა თუ არა ფსევდო-ლიბერალურ ფასეულობებს. ის, რომ ქრისტიანობა ქორწინებას ერთ-ერთ საიდუმლოდ მიიჩნევს, ეს უდავო ჭეშმარიტებაა და, ცხადია, უწმინდესი ვერ მიესალმებოდა ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას, ასეთი წყვილებისათვის ბავშვის შვილად აყვანის უფლების მინიჭებას, გაუთავებელ თუ სელექციურ (რომლებიც ძირითადად გოგონების მოკვდინებით სრულდება) აბორტებს, ხელოვნურ განაყოფიერებას და სუროგაციას, რომლითაც ბავშვი სავაჭრო საქონელი, ხოლო დედობა — ფულის კეთების საშუალება ხდება. ამას ემატება ისიც, რომ ხელოვნური ჩარევის დროს ნაყოფიერდება რამდენიმე ემბრიონი, რომელთა განადგურების ხარჯზეც ახალი სიცოცხლე იბადება. ამ დროს კი, საღმრთო წერილის თანახმად, ჩანასახშიც უკვე სულია...

საშობაო ეპისტოლეს განმარტებისას პატრიარქის ქორეპისკოპოსმა თეოდორე ჭუაძემ აღნიშნა, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი გააღიზიანა იმ ადგილმა, სადაც სუროგატ დედებსა და ხელოვნურ განაყოფიერებაზეა საუბარი. ზოგიერთმა ისიც კი ჩათვალა, თითქოს ეკლესია ასეთი მეთოდით დაბადებულ ბავშვებს უპირისპირდება, თუმცა, საპატრიარქო განმარტავს, რომ ამ პატარებს ეკლესიისგან მეტი სითბო, სიყვარული და დალოცვა სჭირდებათ. „ამიტომაც ასეთი ბავშვები პატრიარქის ნათლულებიც არიან და ამაში გასაკვირი არაფერია“. მიუხედავად ამისა, საპატრიარქოს განმარტებით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული მეთოდი მისაღებია.

საპატრიარქოში იმასაც აცხადებენ, რომ თითქმის ყველა ტრადიციული რელიგია ეწინააღმდეგება ამ სახით განაყოფიერებას და ცოდვად მიიჩნევს. ამდენად, კათოლიკოს-პატრიარქიც და სასულიერო პირებიც ვალდებულნი არიან, გააფრთხილონ მრევლი და საზოგადოება. მთლიანობაში კი, ეკლესია პატივს სცემს ნებისმიერი ადამიანის თავისუფალ არჩევანს, მაგრამ, სადაც თვლის, რომ არასწორ ქმედებას აქვს ადგილი, უთითებს.

**გვესაუბრება მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პალიკო კინტრაია.**

**— პატრიარქის საშობაო ეპისტოლეს, რომელშიც ილია მეორემ ხელოვნური განაყოფიერება, სინჯარაში ჩასახული ბავშვები და სუროგაცია მძიმე ეთიკურ საკითხებად მოიხსენია, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამას ემატება აბორტების უმძიმესი ცოდვაც, რომელთა რიცხვიც წელიწადში დაახლოებით 35 ათასია, თუმცა, არარეგისტრირებული აბორტების რაოდენობა შეიძლება ოთხ-ხუთჯერ მეტი იყოს, რითაც ევროპაში ყველაზე მკვლელ ერად ვითვლებით. თქვენ, როგორც მეან-გინეკოლოგმა, პატრიარქის ეს ეპისტოლე როგორ აღიქვით?**

—პატრიარქის შეხედულება აბსოლუტურად მისაღებია. ხელოვნური აბორტი არ არის მარტო სამედიცინო პრობლემა. პირველ რიგში, ეს სოციალური პრობლემაა და თავის დროზე პატრიარქმა ამასაც გაუსვა ხაზი, რადგან ცხოვრების პირობები ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია იმისთვის, რომ ადამიანებმა გადაწყვიტონ მრავალი შვილის ყოლა. ყველა ქვეყანაში ასეა და, მით უმეტეს, ჩვენთან ეს არ არის მარტო სამედიცინო ფაქტორი. ამიტომ მთავრობამ და საზოგადოებამ ზომები უნდა მიიღონ იმისთვის, რომ ადამიანს იმდენი წლიური შემოსავალი ჰქონდეს, მესამე და მეოთხე შვილის გაზრდა არ გაუჭირდეს. როცა ოჯახს რვა შვილი ჰყავს და მეცხრესაც აჩენს და ამ დროს იმის საშუალება არ აქვს, მას საჭმელი აჭამოს, აბორტის გზით არ შეიძლება ამის რეგულირება.

კიდევ ერთი საკითხია მნიშვნელოვანი, ადამიანთა მოდგმის ისტორიის მანძილზე ყოველთვის იყო აბორტებთან დაკავშირებით აკრძალვა და ნებართვა. მაგალითად, საფრანგეთში მე-17 საუკუნეში აბორტის გაკეთებისთვის სიკვდილით სჯიდნენ, მაგრამ ვერც ამ სასტიკმა ღონისძიებამ ვერ შეძლო შობადობის გაზრდა. თუმცა, როცა ფრანგმა ხალხმა დაინახა, რომ შობადობის შემცირების გამო გადაშენების საფრთხის წინაშე დადგა, მიიღო ეროვნული გადაწყვეტილება. კერძოდ, მთელმა ერმა გადაწყვიტა, რომ უნდა გამრავლებულიყო. სწორედ მაშინ წამოვიდა ახალი ტალღა და საფრანგეთში შობადობა დღესაც საკმაოდ კარგ დონეზეა. ასე რომ, მარტო აკრძალვით და სისასტიკით ამის მოგვარება შეუძლებელია. ეკლესიის დადებითი როლი სწორედ ისაა, რომ ადამიანების შეგნებაზე ახდენს დადებით გავლენას და ამ გზით ებრძვის აბორტებს, მაგრამ, თუ სოციალურ-ეკონომიკური პირობები არ გაუმჯობესდება, ადამიანებს ყოველთვის ექნებათ იმის შიში, რომ ერთით ზედმეტი შვილის გაზრდის შესაძლებლობა მათ არ ექნებათ.

**— მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სუროგაცია უკანონოდ ითვლება (გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, პოლონეთი, პორტუგალია, თურქეთი, იაპონია, ჩინეთი და აშშ-ის ზოგიერთი შტატი). სუროგაციის გზით გაჩენილი ბავშვები, მართალია, არაფრით განსხვავდებიან თანატოლებისგან, მაგრამ პატრიარქმა ბრძანა: „შეიძლება ოჯახი იყოს ბედნიერი, სადაც სუროგატი დედის მიერ დაბადებული ბავშვი იზრდება?“ კერძოდ, უწმინდესის თქმით, პრობლემურნი იქნებიან ის ბავშვები, რომლებიც ხელოვნური განაყოფიერებით დაიბადნენ...**

— არასდროს მიმუშავია ხელოვნური განაყოფიერების განხრით. ჩემი სამეცნიერო პროფილი უკვე ჩასახული ნაყოფის ინტერესების დაცვა და მისი ჯანმრთელობა გახლდათ. თუმცა, როგორც ადამიანი, მოქალაქე და ექიმი, ვერ ვიტყვი, რომ ხელოვნურ განაყოფიერებაში არის რაიმე ანტიქრისტიანული. თვითონ კვერცხუჯრედი, რომელიც დედის ორგანიზმში მომწიფდა და სპერმატოზოიდი, რომელიც მამის ორგანიზმში მომწიფდა, ეს ბუნებრივი პროცესია. ეს არ არის ხელოვნურად შექმნილი, ხელოვნურად აქ იქმნება მხოლოდ ის რგოლი განაყოფიერების და იმის გამო, რომ დედას რაიმე დაავადება ჰქონდა, შეუძლებელი გახდა მისთვის განაყოფიერება. ამ შემთხვევაში, ქალი ძალიან დიდ რისკზე მიდის. რთულია საკვერცხის მომზადება იმისთვის, რომ იქიდან კვერცხუჯრედი აიღონ. ამას აქვს თავისი გვერდითი მოვლენები, რასაც ქალები იტანენ და წინასწარ მიდიან ამ გართულებაზე, ოღონდაც ეყოლოთ შვილი. ასეთი გზით განაყოფიერების შედეგად გაჩენილ ბავშვს არ უნდა დავუძახოთ, შენ ასე ხარ გაჩენილიო, რადგან ეს ბუნებრივი პროცესია. აქ დარღვევას ადგილი არ აქვს.

უბრალოდ, აქ საჩოთირო და საკამათოა თვითონ განაყოფიერების პროცესი, მაგრამ აქაც გამართლება არის ის, რომ ეს ადამიანი არის ავადმყოფი და ამის გამო არ შეუძლია მას დაორსულდეს და არა იმიტომ, რომ თავის შეწუხება არ სურს ორსულობით და შეუკვეთა ვიღაცას და დაავალა ბავშვის გაჩენა, ასე არ არის. პირიქით, დედაც და მამაც დიდ რისკზე მიდიან, როცა ხელოვნურ განაყოფიერებაზე იღებენ გადაწყვეტილებას. მე ვიცი, ბევრი შემთხვევა, როგორი გართულებები მოსდევს ამას დედის მხრიდან, როცა მას ხელოვნურ განაყოფიერებას უტარებენ.

სასულიერო პირები აცხადებენ, რომ სუროგაციის დროს ერთდროულად ხდება ორი, სამი, ორმოცდაათი, სამოცი, ან სულაც ასი ემბრიონის განადგურება, რადგან ამდენი ბავშვის გაჩენა შეუძლებელია. ეკლესია ერთი სულის მოწყვეტასაც კი გმობს, აქ კი ერთდროულად უამრავი ემბრიონის სულის მოწყვეტა ხდება.

— თქვენ ბრძანეთ, რომ ბევრი ემბრიონი იხოცება ერთდროულად. ამაზე რეგულირება შეიძლება. თუ სურთ, ერთ კვერცხუჯრედს გაანაყოფიერებენ, ხოლო, თუ სურთ, სამს გაანაყოფიერებენ. თუმცა, ის სამი შეიძლება, არ შეინარჩუნოს დედამ და გადაწყვიტოს, რომ არ სურს სამი ნაყოფის გაჩენა. ამიტომ ხდება დანარჩენების განადგურება, მაგრამ ეს სრულიად ადვილად მოსაგვარებელია, თუ ის ადამიანი, ვინც ხელოვნურ განაყოფიერებას იტარებს, გადაწყვეტს, რომ მხოლოდ ერთი კვერცხუჯრედი განაყოფიერდეს. რისკი იმაშია, რომ, როდესაც ერთი კვერცხუჯრედი ნაყოფიერდება, შეიძლება, ის დამთავრდეს აბორტით და ისევ თავიდან დასჭირდეს ხელოვნური განაყოფიერება. როდესაც ორი და სამი კვერცხუჯრედი განაყოფიერდება, მაშინ, თუ დედას არ სურს სამი შვილის გაჩენა, მაშინ ორს მოაცილებენ. ამიტომ, თუ ადამიანი მორწმუნეა და სწამს, რომ აბორტი ადამიანის მკვლელობაა, მაშინ მას შეუძლია, დაორსულდეს ერთი კვერცხუჯრედით და ეს ერთი ნაყოფი გააჩინოს ისე, რომ დანარჩენი ემბრიონების განადგურება არ დასჭირდეს. ეს არის იგივე აბორტის კეთება, რასაც ჩვეულებრივ ვებრძვით და მე პირადად, ჩემი რწმენით, ჩემს ცხოვრებაში აბორტს არ ვაკეთებ. ჩემი შვილიც ექიმია და აბორტი არ გაუკეთებია არასდროს. ასე რომ, ამის რეგულირება სავსებით შესაძლებელია, რომ ხელოვნურმა განაყოფიერებამ არ გაზარდოს ემბრიონების დახოცვის რიცხვი.

**— არსებული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნას პარლამენტი შეეცადა. ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელმა დიმიტრი ხუნდაძემ აღნიშნა, რომ სუროგაცია შეიძლება დასაშვები იყოს მაშინ, თუკი სუროგატი დედობის სურვილი ჰუმანიზმს ეფუძნება და არა - ანგარებას. ამაში გამოსავალს ხედავთ?**

— დავიწყოთ იმით, რას ნიშნავს თვითონ სუროგატი დედა? კვერცხუჯრედი და სპერმატოზოიდი არის დედისა და მამის, ვისაც სურს ბავშვის ყოლა. არის მეორე შემთხვევაც, როცა ან მამაკაცს ან ქალს არ შესწევს უნარი, (ვთქვათ, საკვერცხეები ამოკვეთილი აქვს, ან მამაკაცს აქვს პათოლოგია) იყოლიოს შვილი. ასეთ შემთხვევაში, არსებობს სპერმატოზოიდების ბანკი, რაშიც ის ფულს იხდის. რამდენად დასაშვებია ეს, ამის განსაზღვრა ერთი ხელის მოსმით არ შეიძლება, აქ არის ფსიქოლოგიური, რელიგიური ფაქტორებიც და უამრავი სხვა რამ. მთავარია, რომ შავ ბიზნესს ეს არ უნდა უკავშირდებოდეს. ერთი წამით თვალი გადავავლოთ, თუ რა ხდება ფარმაკოლოგიურ ბაზარზე. სამკურნალო საშუალებებიდან ბევრი ყოველგვარ კონტროლგარეშეა და რას არ სთავაზობენ ადამიანებს სამკურნალოდ. ჩვენ ხომ ამას ვებრძვით და ვამბობთ, ეს დაუშვებელია.

ასევე, დაუშვებელია, ადამიანი ყიდდეს სპერმატოზოიდებს და დაუშვებელია, ეს საკითხი გახდეს ვაჭრობის საგანი. აქ პატრიარქი აბსოლუტურად მართალია, მაგრამ ზოგიერთებმა ძალიან ცუდად გაიგეს ეპისტოლე, თითქოს ხელოვნური განაყოფიერებით დაბადებული ბავშვი მოკლებულია დედობრივ მზრუნველობას, უკაცრავად და, რაღაც სისულელეები ითქვა. პირიქით, ის ბავშვი არ არის მოკლებული მზრუნველობას, მისმა დედ-მამამ, სხვა ჩვეულებრივ დედ-მამაზე მეტი გასაჭირი გადაიტანეს, რომ ეს ბავშვი ჰყოლოდათ და ამ საკითხისთვის ასეთი მიმართულების მიცემა არ შეიძლება. ხოლო, თუ პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას, აღიკვეთოს აღებ-მიცემობა და სპეკულაცია ამ საკითხთან დაკავშირებით, სავსებით მისაღები იქნება. თუ პატრიარქის წინადადება სტიმულს მისცემს ასეთი ღონისძიებების გატარებას, ეს მისასალმებელია!

**— ვიცით, რომ ხშირ შემთხვევაში, ადამიანებმა სუროგაცია შემოსავლის წყაროდ გაიხადეს. მაგალითად, საქართველოში 23 ათასი დოლარი ჯდება სუროგაცია.**

— იმ პერიოდში, როდესაც ხელოვნური განაყოფიერების შესაძლებლობა გაჩნდა, ვიცი შემთხვევა, რომ 70 წლის დედამ გააჩინა შვილი თავისი ქალიშვილისთვის; დამ თავისი დისთვის გააჩინა შვილი ხელოვნური განაყოფიერებით. ასეთი ფაქტების მასობრიობა ძნელად მოსალოდნელია, მაგრამ, თუ ჩვენ ვლაპარაკობთ რელიგიაზე და რელიგიურ რწმენაზე, რომ ადამიანს უნდა, დახმარება გაუწიოს სხვა ადამიანს, თუნდაც ასეთი რთული გზით — მის მაგივრად გააჩინოს შვილი, თეორიულად ეს შესაძლებელია. რა თქმა უნდა, ეს მასობრივი ვერ იქნება.

**— მეცნიერები გადაჭრით ვერ ამტკიცებენ, მაგრამ, სავარაუდოდ, ფიქრობენ, რომ სუროგატი დედის მიერ ნაშობი ბავშვები ჩვეულებრივი ბავშვებისგან არ განსხვავდებიან. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— განაყოფიერების დროს, იქნება ეს ხელოვნური თუ ბუნებრივი, არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც შემდეგ ხელს უშლიან ორსულობის ნორმალურად განვითარებას. ეს ფაქტორები თანაბრად მოქმედებს როგორც ხელოვნური, ისე ბუნებრივი გზით განაყოფიერების შემთხვევაში. ჯერჯერობით ხელოვნური განაყოფიერებით დაბადებულები ნობელის პრემიის ლაურეატები არ გამხდარან. შესაძლოა, არც გასულა იმდენი დრო, რომ ასეთ ადამიანებს ნობელის პრემიამდე მიეღწიოთ. თუმცა, რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა, რომ სუროგატი დედის ნაშობ ბავშვებს გონებრივ ან ფიზიკურ განვითარებასთან დაკავშირებით რაღაც განსხვავება აქვთ, სპეციალურ ლიტერატურაში არ შემხვედრია.

**— რაც შეეხება სელექციურ აბორტებს — საქართველოში აღარ სურთ გოგონების მასობრივი გაჩენა?**

— როცა ადამიანს არ სურს გოგოს გაჩენა და, მაშინ აბორტს იკეთებს, ეს დანაშაულია. ამას არავითარი გამართლება არ აქვს. ადამიანი თუ ეკონომიკურად მძიმე პირობებშია და ამის გამო სურს, ბავშვი მოიცილოს, ეს ერთია, ხოლო მეორეა, სულელური მოსაზრების გამო, რომ ბიჭის ან გოგოს ყოლა უნდა მაინცდამაინც და, თუ ასე არ მოხდა, მაშინ აბორტი უნდა გაიკეთოს, ეს დანაშაულია. ასეთი აბორტის გამკეთებელთან ერთად ის ადამიანიც უნდა ისჯებოდეს, ვინც მას აბორტი გაუკეთა.

**— წლების განმავლობაში ინდოეთში გოგონებს იშორებდნენ, რამაც დემოგრაფიული სურათი შეცვალა. სწორედ მანდილოსნების რაოდენობის ნაკლებობითაც აიხსნება, რომ ამ ქვეყანაში მამაკაცების მხრიდან ქალებზე ძალადობის ფაქტები გახშირდა.**

— ინდოელებზე რა უნდა ვთქვათ, როცა ქართველებიც ძალიან ბევრს ვცოდავთ ამ საკითხში. ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, ყველას ურჩევნია, ორი ბიჭი ჰყავდეს და ერთი გოგონა, ან სამი ბიჭი ჰყავდეს და ერთი გოგონა. იშვიათად ნახავთ ადამიანს, რომელიც ამ საკითხს შეგნებულად უდგება და იტყვის, ოღონდ შვილი მყავდეს და სულერთია, გოგო იქნება თუ ბიჭი. ამიტომ მოსალოდნელი ნაყოფის სქესის გამო აბორტის გაკეთება კატეგორიულად მიუღებელია. ცივილიზებული ერი ამას არ დაუშვებს, ეს ჩამორჩენილობის ერთ-ერთი მაჩვენებელია.

**— ეს ქართველებს ადრე არ ახასიათებდათ.**

— მაგალითად, მე ამდენი ხანია ვმუშაობ და არ მინახავს, ვინმე მოსულიყო და ხმამაღლა ეთქვას, მე მყავს ორი გოგო, ახლა მესამე გოგო არ მინდა და გამიკეთეთ აბორტი. შესაძლოა, ამას ვიღაც ჩუმად აკეთებს და არ ამხელს, რატომ იკეთებს აბორტს. ეს ჩვენს ერში მაინც სირცხვილად ითვლება. ასეთი აბორტები კანონით უნდა აიკრძალოს. რაც დღეს პატრიარქის წინააღმდეგ ხდება, ეს შანტაჟია. რომელიღაც ქალბატონი გამოვიდა და ხელში ტრანსპარანტი ეჭირა, თურმე პატრიარქი რაღაცას ეწინააღმდეგება. ასეთი რამ როგორ შეიძლება?! ეს არ არის ერის მაღალი კულტურის მაჩვენებელი. სხვათა შორის, ამას წინათ გამოვიდა ერთი ძალიან საინტერესო მონოგრაფია, სახელწოდებით „ერისა და ბრბოს ფსიქოლოგია“. ჩვენთანაც ბრბოს ფსიქოლოგიაა. რაზეც ვისაუბრეთ, რომ სუროგატული აბორტი ფულის მახეა და მიუღებელია, ასევე, მიუღებელია ისიც, რაც ზოგიერთებმა ატეხეს პატრიარქის გამოსვლასთან დაკავშირებით ხელის მოთბობის მიზნით.

**მანანა ნოზაძე**

# ვინ იქნება მთავარი პროკურორი?

№6. შაბათი, 11 იანვარი, 2014 წელი.

**ხელისუფლება მთავარი პროკურორის კანდიდატურის დასახელებას აგვიანებს. როგორც პრემიერმა განმარტა, მთავარი პროკურორის თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატურას განიხილავს.**

**„ოთარ ფარცხალაძის შემცვლელის თაობაზე მე მაქვს რამდენიმე ვარიანტი და უახლოეს დღეებში შეგატყობინებთ", — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.**

**ცნობილია, რომ ფარცხალაძის შემცვლად ხელისუფლება მისი მოადგილეებიდან არჩევს კანდიდატს. ამ ეტაპზე სახელდებიან შავაძე და შოთაძე, რომელიც მთავარი პროკურორის მოვალეობის შემსრულებელია. შეძლებს თუ არა პრემიერი არჩევანი შეაჩეროს კანდიდატზე, რომელიც არა მხოლოდ ამ ხელისუფლების, არამედ საზოგადოების და ქვეყნის ინტერესსაც მოერგება, ძნელი სათქმელია.**

**უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე თვლის, რომ სასურველია, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, ხელისუფლებამ ასეთი მთავარი პროკურორი შემოგვთავაზოს.**



**— ბატონო დიმიტრი, როგორც ჩანს, საკმაოდ ხანგრძლივი სამსჯელო საგანი გახდა ხელისუფლებისთვის თუ ვინ იქნება მთავარი პროკურორი. როგორ ფიქრობთ, რატომ ჭიანურდება კანდიდატის დასახელება?**

— მთავარი პროკურორი გახლავთ გამოძიების კანონიერებასა და სამართლებრივ დევნაზე პასუხისმგებელი მთავარი პირი, ამიტომ დროულად მისაღებია გადაწყვეტილება, რომ ამ თანამდებობაზე დაინიშნოს უმწიკვლო წარსულის მქონე ადამიანი, რომლის მიმართაც გარკვეული ხასიათის შეკითხვები, რომელზეც იყო საუბარი წინა პროკურორთან დაკავშირებით, აღარ იქნება.

**— ამისათვის რამდენად გამოდგებიან ის პირები, რომლებიც ბატონი ოთარ ფარცხალაძის მოადგილეებად მუშაობდნენ?**

— პირდაპირ გეტყვით, რომ ისინი არ გამოდგებიან — ლაპარაკია იმაზე, რომ მთავარ პროკურორად უნდა დაინიშნოს ადამიანი, დღეს პროკურატურაში მომუშავე თანამშრომელთა სიიდან. საუბარია იმ ხელმძღვანელ შემადგენლობაზე, რომელშიც ფარცხალაძის მოადგილეებიც შედიან.

რომელიმე მათგანის დანიშვნა მთავარი პროკურორის თანამდებობაზე, ეს იქნება ფარცხალაძის რეინკარნაცია სხვა გვარითა და სახელით და ეს არ იქნება სწორი გამოსავალი.

**— რატომ?**

— წმინდა სამართლებრივი მიზეზით (ბატონი ფარცხალაძის გადადგომის მიზეზი ვიცით) პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მან ანგარიში გაუწია საზოგადოებრივ აზრს. საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით გათავისუფლებული ადამიანი ისევ კავშირში იქნება მის მიერ დანიშნულ კადრებთან. ფარცხალაძის მიერ მოყვანილი მოადგილეებიდან კანდიდატურის შერჩევა არც სამარლებრივად და არც პოლიტიკურად გამართლებული არ იქნება.

**— ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე საზოგადოების პრეტენზიები მიმართული იყო მთავარი პროკურორის მიმართ. მაშინაც, როდესაც ამ თანამდებობას არჩილ კბილაშვილი იკავებდა, ხოლო ფარცხალძესთან დაკავშირებით რაც მოხდა, ცნობილია. ერთგვარი რიტორიკული კითხვაც კი ჩნდება, ნუთუ საქართველოში არ არსებობს ადამიანი, რომელიც მთავარი პროკურორის თანამდებობას დაიკავებდა ისე, რომ მითქმა-მოთქმა არ გამოეწვია?**

— ნამდვილად არსებობს და ერთ-ერთი კანდიდატის მიმართ საჯაროდ გამოთქმული და გამოხატულიც არის საზოგადოების დამოკიდებულება. იცით, ალბათ, რომ სოციალურ ქსელებში ხალხის პირდაპირი მოთხოვნაა, რომ ამ პოსტზე განიხილონ კახა კახიშვილის კანდიდატურა. თუმცა, ხელისუფლების მხრიდან მზაობას ვერ ვხედავთ, რომ მაღალი ნდობით მოსარგებლე კანდიდატები იყვნენ განხილულნი. ერთ-ერთი ვიცე-სპიკერის ზურაბ აბაშიძის კომენტარიც მოვისმინეთ ამ საკითხთან დაკავშირებით, აუცილებელი არ არის, მთავარი პროკურორი საზოგადოებისთვის ცნობილი სახე იყოს.

შეიძლება, მართლაც არ იყოს ცნობილი სახე, მთავარია, რომ კარგი იურისტი იყოს და ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება ჰქონდეს. მაგრამ, მეორე მხრივ, თუკი, ამ ყველაფერს ამკობს საზოგადოების ნდობა, რატომ არ უნდა ჰქონდეს უპირატესობა ასეთ კანდიდატს?

ხომ არ არის ეს იმასთან კავშირში, რომ ხელისუფლების ინტერესებში არ ჯდება უკომპრომისო მებრძოლი ფიგურის კანდიდატურის წამოყენება ამ თანამდებობაზე?!

**— ხელისუფლების ეს პოზიცია უნდა განვიხილოთ კოჰაბიტაციის შედეგად? კოჰაბიტაცია ხომ დამთავრებულია...**

— კოჰაბიტაცია ნამდვილად არ არის დამთავრებული იქამდე, ვიდრე უმრავლესობას და უმცირესობას ერთმანეთში იყოფენ „ნაციონალური მოძრაობა" და „ქართული ოცნების" პოლიტიკური კონგლომერატი.

კარგად არის ცნობილი, რომ უამრავი საკითხი, რომელიც სამართლიანობის აღდგენასთან არის დაკავშირებული, გაჩერებულია და ადგილიდანაც არ დაძრულა. ვგულისხმობ წართმეული ქონების უკან დაბრუნებას, უკანონოდ ჩამორთმეული საკუთრების დაბრუნებას, რომელზეც, პოლიტიკურ დონეზე კომენტარიც კი არ კეთდება.

## ნაცმოძრაობის მილიარდების განაწილების საკითხი დღესაც აქტუალურია

როდესაც მთავარი პროკურორის თანამდებობაზე, საზოგადოებისთვის აბსოლუტურად უცხო ადამიანის დანიშვნის საკითხი წყდება, ეს ეჭვებს კიდევ უფრო აღვივებს, რომ ხელისუფლებას მთავარი პროკურორის პოსტზე არ სჭირდება ისეთი პიროვნება, რომელიც მთლიანად დაქვემდებარებული იქნება პოლიტიკურ კონიუქტურას, რომლის ნებისმიერი მოქმედება ნაკარნახევი იქნება მოტივით, რომელიც აწყობს სწორედ ამ კოჰაბიტაციის პროცესის გაგრძელებას — კონტექსტიდან რომ არ ამოვარდეს რომელიმე სამართლებრივი ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნება დამნაშავე, მათ შორის, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების დაკავებასა და მათი სისხლის სამართლებრივ დევნასთან.

**— პრინციპში, ასეთი მთავარი პროკურორი გვყავდა - ვგულისხმობ არჩილ კბილაშვილს, რომელიც იყო უმწიკვლო წარსულის იურისტი, თუმცა სამართლიანობის აღდგენის კუთხით დიდი წარმატებები არ ჰქონია. თუ ხელისუფლებას ასეთი ინტერესები აქვს, კბილაშვილის მთავარ პროკურორად დატოვება პრობლემა არ უნდა ყოფილიყო...**

**მონაკოს გენერალური პროკურორის ინიციატივით გამოიგზავნა ინფორმაცია საქართველოს მთავარ პროკურატურაში კეზერაშვილის მილიონებთან დაკავშირებით, რომელიც თავმოყრილია ლუქსემბურგისა და მონაკოს ბანკებში.**

— ვფიქრობ, რომ არჩილ კბილაშვილმა გააკეთა ძალზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური განცხადება, რომელიც რატომღაც მედიისთვის მსჯელობის საგანი არ გამხდარა. მან გააკეთა განცხადება, რომ „ქართული ოცნების" პოლიტიკური ისტებლიშმენტი (ვინც იგულისხმება, გასაგებია, იმიტომ, რომ ყველაფერი თავს იყრის ბიძინა ივანიშვილთან), მზად არ აღმოჩნდა, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი იმ თვალთახედვით ჩაეტარებინა, რასაც იზიარებდა მთავარი პროკურორი.

მისი გადადგომა ამით იყო განპირობებული. სხვა საკითხია, რამდენად იცავს დღეს ამ პოზიციას არჩილ კბილაშვილი, რომელიც აღარ არის არც ერთ თანამდებობაზე და იგი ფაქტობრივად, ჩამოაცილეს პოლიტიკურ საქმიანობას, მიუხედავად იმისა, რომ ის პოლიტიკაში შემოვიდა მანამდე, ვიდრე მთავარი პროკურორი გახდებოდა. კბილაშვილი იყო საყოველთაოდ არჩეული დეპუტატი ბაღდათის რაიონში.

ფაქტია, რომ არჩილ კბილაშვილი, ფაქტობრივად, დაისაჯა იმ ხედვისთვის, რომლითაც აპირებდა სამართლიანი გარემოს აღდგენას. ისიც ფაქტია, რომ მას არ გამოსარჩლებია არავინ, მათ შორის, არც იუსტიციის მინისტრი, რომელიც პოლიტიკურად პასუხისმგებელია მთავარი პროკურორის დანიშვნის საკითხში.

**— ხელისუფლების მთავარი დაპირება და ხალხის მაღალი ნდობის მიზეზიც იყო სამართლიანობის აღდგენა. რატომ არ უნდა აწყობდეს დღეს ხელისუფლებას ამ დაპირების შესრულება?**

— არც თუ უსაფუძვლო ეჭვი გაჩნდა საზოგადოებაში იმის თაობაზე, რომ იმ მილიარდების გადანაწილების საკითხი, რომელიც „ნაცმოძრაობის" ფონდში იყო მობილიზებული, დღესაც ძალიან აქტუალურია. საუბარია იმ სახსრებზე, რომელიც ქონების უკანონოდ ექსპროპრიაციის შედეგად დაგროვდა „ნაციონალური მოძრაობის" „შავ სალაროში". სად იმყოფება ეს „შავი სალარო" და ვინ ზედამხედველობს, ამასთან დაკავშირებითაც არსებობს გარკვეული მოსაზრებები და ეჭვები.

**— კეზერაშვილზეა საუბარი?**

— მარტივ მაგალითს მოგიყვანთ — გავიხსენოთ, საზოგადოებისთვის ცნობილია თუ არა ის ფაქტი, რომ კეზერაშვილის ანგარიშების შესახებ არსებობს ოფიციალური ინფორმაცია, მოწოდებული საქართველოს სამართალდამცავი უწყებების მიერ? — მსგავსი რამ არ მომხდარა. არადა, მე თავის დროზე განვაცხადე იმასთან დაკავშირებით, რომ უშუალოდ მონაკოს გენერალური პროკურორის ინიციატივით გამოიგზავნა ინფორმაცია საქართველოს მთავარ პროკურატურაში კეზერაშვილის მილიონებთან დაკავშირებით, რომელიც თავმოყრილია ლუქსემბურგისა და მონაკოს ბანკებში.

ვინმე არის პოლიტიკურად პასუხისმგებელი ამ საკითხზე, რათა განმარტება მაინც მოგვცეს? — ეს არის გადამოწმებული, უტყუარი ინფორმაცია, რომ მონაკოს სახელმწიფოა დაინტერესებული ჩვენთან თანამშრომლობით.

**— რას აკეთებს ჩვენი სამართალდამცავი სისტემა ამასთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც კეზერაშვილი დაკავებულია საფრანგეთის გენერალური პრიკურატურის მიერ და იძებნებოდა იარაღით უკანონოდ ვაჭრობის კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით?!**

— ამ დროს მონაკოს გენპროკურორისთვის ცნობილი ხდება, რომ კეზერაშვილი ასევე იძებნებოდა საქართველოს სამართალდამცავი უწყების მიერ და სათანამშრომლოდ ინფორმაციას გვაწვდის — ქართული მხრიდან კი არაფერი არ კეთდება ამ მიმართულებით, ეს როგორ გავიგოთ?!

**— გაქვთ ახსნა, ასე რატომ ხდება?**

— ერთი პატარა კონკრეტული მაგალითი მოგიყვანეთ, იმ რეალური მოტივებიდან, რომელიც „ქართულ ოცნებას" არ უხსნის ხელ-ფეხს, რომ სრული მასშტაბებით იმოქმედოს უკანონოდ მითვისებული ქონების უკან დასაბრუნებლად.

არჩილ კბილაშვილის გარდა კიდევ ერთი მისი მოადგილე, ლაშა ნაცვლიშვილია თანამდებობიდან ჩამოცილებული და როგორც ჩვენთვის ცნობილია, მან დატოვა საქართველოს ფარგლები.

ესეც ძალზე საინტერესო ინფორმაციაა — რატომ დატოვა საქართველო და ჰქონდა თუ არა რაიმე შეხება „ქართული ოცნების" ლიდერებს ნაცვლიშვილის მეშვეობით „ნაციონალური მოძრაობის" მაღალი ნდობის პირებთან, რომლებიც ასევე არ იმყოფებიან საქართველოში და ასევე ძებნილები არიან?! ხომ არ იყო მოლაპარაკებები ან მცდელობა გაზიდული მილიარდების უკან დაბრუნების რაიმე სქემასთან დაკავშირებით?!

ეს არის კითხვები, რომელსაც არ გააჩნია განსაკუთრებული მტკიცების ტვირთი, ეს მხოლოდ მოსაზრებებია, თუმცა არც თუ უსაფუძვლო და ამასთან დაკავშირებით მე კი არ უნდა ვაკეთებდე სავარაუდო კომენტარს, არამედ ღიად უნდა საუბრობდნენ „ქართული ოცნების" მაღალი თანამდებობის პირები. ადამიანები, რომლებიც პოლიტიკურად პასუხისმგებლები არიან საზოგადოების წინაშე, ვინაიდან ხალხმა სწორედ იმისთვის აირჩია, რომ რაც შეიძლება, დროულად დაებრუნებინათ წართმეული ქონება და მატერიალური სახსრები დაზარალებული მოსახლეობისთვის.

**— როგორ ფიქრობთ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ კითხვებზე პასუხს აუცილებლად მივიღებთ ახალი გენერალური პროკურორისგან?**

— იმედი უნდა გვქონდეს, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, ეს განხორციელდეს, თუ არ შეიცვალა დამოკიდებულება აღებული პასუხისმგებლობების მიმართ. ეს უნდა იყოს მოქმედების სრული კარტ-ბლანშით აღჭურვილი პირი, რომელიც ორგანიზებული დანაშაულის მონაწილეებს გამოავლენდა.

ნამდვილად ვისურვებდი, ისეთი მთავარი პროკურორი დაინიშნოს, რომელიც თავისი ჯანმრთელობისა და სოცოცხლის რისკის ფასადაც კი, დაპირების შესრულებას შეძლებდა — სამართლებრივი თვალსაზრისით, სწორედ მთავარ პროკურორს ენიჭება უზარმაზარი როლი სამართლებრივი გარემოს აღდგენის კუთხით.

**მარიამ თოდაძე**

## რეფორმა ნაცურად



# დანგრეული განათლების სისტემა

**განათლების რეფორმა ნაცებმა ჯერ კიდევ „სანტექნიკ“ კახა ლომაიას დროს დაიწყეს. პირველი, რაც წამოიწყეს, ის იყო, რომ ყოველმხრივ შეეცადნენ მთლიანად განათლების სისტემიდან და განსაკუთრებით ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას სახელობის უნივერსიტეტებში ყოველმხრივ შეევიწროვებინათ ქართული ენის კათედრების ფუნქციონირება და დაეკანონებინათ ქართული ენის, როგორც მეცნიერებისა და აუცილებელი სასწავლო საგნის სტატუსი.** ამას საზოგადოების გარკვეული უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. დაპირისპირებამ სააკაშვილის ხელდასხმული რეფორმატორები დააფრთხო. მათ განზრახვა სრულად ვერ მოიყვანეს სისრულეში. ამის შემდეგ მინისტრმა და ორი უმსხვილესი უნივერსიტეტის რექტორმა **(გიორგი ხუბუა, გიგი თევზაძე)** იერიში ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს ისტორიის სავალდებულო სწავლების საგნებად ამოღებაზე მიიტანეს. ჩვენი ქვეყნის ისტორიის საგანი ამოიღეს სავალდებულო საგამოცდო საგანთა ჩამონათვალიდან.

ლომაიას და მის სისხლით ნათესავს ხუბუას თვით „ვარდოსნებმა“ მიუჩინეს ადგილი — ყოფილი მინისტრი საზღვარგარეთ ელჩად გაამწესეს, რექტორყოფილი კი ისევ თავისი დამკვეთების მეოხებით გადაურჩა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ლომაია შეცვალა სასჯელაღსრულების ყოფილმა მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა.** პატიმრებთან ციხე-კოლონიების ადმინისტრაციების იმჟამინდელი დამოკიდებულება საზოგადოებისთვის ცნობილია და ყურადღების გამახვილება აღარ ღირს. „პატიმართა წამების საამქროდ“ წოდებული უწყების ყოფილმა ხელმძღვანელმა მალევე გამოაჩინა იმდროინდელი პოლიციურ-კოლონიური ბრჭყალები და ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა მისი წინამორბედების მიერ წამოწყებულ, საქართველოსათვის აშკარად საზიანო, დამღუპველი რეფორმების ხორცშესხმას. პირველი ის იყო, რომ მასობრივად დაიწყო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების აქტიური ჩართვა ნაცმოძრაობის „მასოვკებში“. საჯარო სკოლებში პედაგოგებს პირდაპირ ავალებდნენ სადამრიგებლო კლასებში მოსწავლეთა მშობლებთან წინასწარ გასაუბრებას. მათი პირადობის ნომრების ამოწერასა და არჩევნებზე „ნაციონალების“ მხარდასაჭერად მიყვანას.

შაშკინისეული განათლებული საქართველოს ხედვა იმაშიც გამოიხატებოდა, რომ სასწავლო პროცესს, უპირველეს ყოვლისა, დიდი გამოცდილების, სტაჟიანი პედაგოგები ჩამოაშორეს. შემდეგ დაიწყო „კუდიანების“ (სხვაგვარად მოაზროვნეების) დევნა. მათი და მათი ოჯახის წევრების სხვაგვარი (ნაციონალებისთვის მიუღებელი) შეხედულებების გამო სამსახურიდან უმიზეზოდ დათხოვნა. ამ პერიოდს უკავშირდება სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის შემოღება. მას ევალებოდა ზრუნვა სასწავლო დაწესებულებებში არალოიალური გზებით წესრიგის დამყარებაზე, არამედ შაშკინის ციხე-კოლონიებში გავლილი გამოცდილების გატარებაზე, როცა „შიში შეიქმს სიყვარულსა“. ყველაზე დიდი დარტყმა, რაც განათლების „ნაციონალურმა რეფორმამ“ და შაშკინისეულმა ხედვამ ჩვენს განათლების სისტემას მიაყენა, ეს იყო საჯარო სკოლების ოპტიმიზაციის პროცესი. „დიმიტრის“ ხედვამ მრავალი სკოლა შეუერწყა ერთმანეთს. გამოთავისუფლებულ შენობებს მდგრადი განვითარების მინისტრი მეპურე ვერა კერძო პირებსა და კომპანიებზე ჰყიდდა. ამით თბილისსა და ქვეყნის დიდ ქალაქებში ათასობით პედაგოგი დატოვა უმუშევარი. თუ მსხვილ ადმინისტრაციულ ცენტრებში დარტყმა ძირითადად მასწავლებლებმა მიიღეს, რადგანაც მოსწავლეთა მშობლები კარგად განვითარებული სატრანსპორტო კომუნიკაციების შედეგად მაინც ახერხებდნენ შვილების სკოლებში მიყვანას, ამავეს ვერ ვიტყვით რაიონებსა და სოფლებზე. რეგიონებში სასწავლო დაწესებულებების შაშკინისეული ოპტიმიზაციის შედეგად სამი-ოთხი სოფლის მცხოვრებ ბავშვებს მეხუთე სოფელში უწევდათ სწავლა. ზოგიერთი სოფელი სკოლის განთავსების ადგილიდან 5-7 კმ-ით იყო დაშორებული. ბავშვებს (განსაკუთრებით დაბალკლასელებს) უჭირდათ ამ მანძილის მარტო გავლა. ზოგჯერ ბავშვს გზის დიდი მონაკვეთი ტყის მასივზე უნდა გაეარა. სოფლებში გზების მდგომარეობა, განსაკუთრებით თოვლ-წვიმაში ყველას მოეხსენება. მშობელი მუდამ ვერ ახერხებდა შვილის სკოლაში გაყოლას. დაიწყო მასობრივი გაცდენები, განსაკუთრებით დაბალ კლასებში. სააკაშვილმა პიარისათვის რამდენიმე სოფელში კი დანიშნა ავტობუსები, მოსწავლეთა სკოლამდე გასაყვან-მოსაყვანად, მაგრამ ამ კარგმა ნოვაციამ მხოლოდ ორი თვე იარსება.

შედეგად მივიღეთ მთელი ქვეყნის მასშტაბით საჯარო სკოლათა დიდი რაოდენობით დახურვა, ათიათასობით პედაგოგის უმუშევრად დარჩენა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის თვალსაჩინო შემცირება. ამის თვალსაჩინო მაგალითები მოჰყავს შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს.

მათი მონაცემებით 2005-06 სასწავლო წლიდან 2012-13 სასწავლო წლებში, შიდა ქართლში 202 საჯარო სკოლიდან 30 დაიხურა. დღეის მაჩვენებლით მათი რაოდენობა 172-ია.

არასამთავრობოს ინიციატივით მნიშვნელოვანი კლებაა მოსწავლეთა რაოდენობაშიც. თუ 2005-2006 წლებში ზოგად განათლებას რეგიონის მასშტაბით 46326 მოსწავლე იღებდა, ამჟამინდელი მონაცემებით (2012-13 სასწავლო წელი), ეს რაოდენობა 38 906-მდე დაეცა.

ახალი ხელისუფლება კი ცდილობს განსაკუთრებით რთული გეოგრაფიული მდებარეობის სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში საჯარო სკოლების (თუნდაც დაწყებითი კლასების) აღდგენას, მაგრამ ეს ხანგრძლივი პროცესია და ისე სწრაფად ვერ მოწესრიგდება (მთლიანად საქართველოში), როგორც ნაციონალურმა მოძრაობამ მოასწრო ყველაფრის ერთი ხელისმოსმით განადგურება.

**ზაზა ბილიხოძე**

## ეს მოსაგვარებელია!

# ტურისტების ზრდასთან ერთად უკმაყოფილებამაც იმატა

**ტურისტების რაოდენობის ზრდასთან ერთად, თვალდათვალ მატულობს მათი პრეტენზიებიც. თუკი ადრე უკმაყოფილება ზაფხულის კურორტებიდან ისმოდა, ახლა თოვლიანი მთებიდანაც ისმის.**

**2013 წლის დეკემბერში საქართველოს 391 724 ვიზიტორი სტუმრობდა, რაც 2012 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 5%-ით მეტია. რაც შეეხება იანვარ-დეკემბრის ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 5 365 356 ვიზიტი განხორციელდა, რაც 21,2%-ით აღემატება 2012 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელს. თუმცა, ამ ოდენობიდან მხოლოდ 40%-ია ნამდვილი ტურისტი, რომლებიც ქვეყანაში დასასვენებლად ან მოსანახულებლად ჩამოდიან.**

**შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება ასეთია:**

**ა) ტურისტი — 2 080 808 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 39%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 16,3%);**

**ბ) ტრანზიტი — 1 167 570 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 22%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 54,6%);**

**გ) სხვა — 2 116 978 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 39%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 12,4 %).**

**2013 წლის დეკემბერშიც ყველაზე მეტი ვიზიტორი კვლავ თურქეთიდან (-25,8%), აზერბაიჯანიდან (+16,3%), სომხეთიდან (+26,8%), რუსეთიდან (+40,6%), უკრაინიდან (+69,7%) და ირანიდან (-33,8%) შემოვიდა.**

ასეთი შთამბეჭდავი მონაცემები, ერთი მხრივ, ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ქვეყნის ზამთრის კურორტებზე არსებული მდგომარეობა სულაც არ იძლევა სიამაყის მოძალების საფუძველს. უცხოელმა დამსვენებლებმა ბოლო დროს ჩივილს უმატეს. მათი თქმით, გადახდილი თანხა მომსახურების ხარისხს არ შეესაბამება, ინფრასტრუქტურა კი — გაუმართავია. ამაზე ყურადღებას ამახვილებენ ის ტურისტები, რომლებიც საქართველოს ყველაზე ხშირად სტუმრობენ.

სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსული რამდენიმე ტურისტი ბაკურიანში არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურით უკმაყოფილებას გამოთქვამს და აცხადებს, რომ იმ ვითარებით, რაც ამ კურორტზე დახვდათ, იმედგაცრუებულნი არიან. მაგალითად, სომხეთიდან ბაკურიანში ჩამოსული ედიკ მანუკიანი ამბობს, რომ ამ კურორტზე პირველადაა და სხვა დროს აქ აღარც დაბრუნდება.



**„ზაფხულობით აჭარაში ხშირად ვისვენებ და კმაყოფილიც ვარ. ამიტომ მქონდა მოლოდინი, რომ ბაკურიანშიც გართობისა და კულტურული დასვენებისთვის კარგი პირობები დაგვხვდებოდა. თუმცა, ჩამოსვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ აქ კომუნიკაციები — როგორც სატრანსპორტო, ისევე სათხილამურო ტრასების მხრივ — მოუწესრიგებელია. მაგალითად, საღამოს ტრასებზე განათება არ არის. თუმცა, გართობის არც სხვა ალტერნატივა არსებობს — არავითარი გასართობი და კულტურული დაწესებულება არ მუშაობს, რომ ადამიანმა საღამო გაატაროს. იძულებული ვართ, სასტუმროში ვიყოთ გამოკეტილები. სამწუხაროა, რომ ბაკურიანი, რომელიც საქართველოს საზღვრებს გარეთ სახელგანთქმული კურორტია, დღეს მეოცე საუკუნეში ჩარჩენილი ადგილია“,** — აცხადებს სომხეთიდან ჩამოსული სტუმარი „კომერსანტთან“ საუბრისას.

რაც შეეხება გუდაურს, როგორც იქ მყოფი დამსვენებლები ამბობენ, სპორტის მოყვარულებისთვის პირობები მეტ-ნაკლებად შექმნილია, ნათდება სათხილამურო ტრასებიც, თუმცა, სხვა სახის გართობის საშუალებას დამსვენებელი აქაც მოკლებულია.

პრეტენზიას გუდაურის განვითარების სააგენტო არ იღებს. სააგენტოს ხელმძღვანელის სანდრო ონოფრიშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სეზონი ოფიციალურად არ გახსნილა, ამ დროისთვის კურორტზე, კაფე-ბარების გარდა, რესტორნები და დისკოთეკა ფუნქციობს.

გუდაურისგან განსხვავებით, გასართობი ობიექტების სიმცირეს აღიარებენ ბაკურიანში. კურორტის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელის მარიკა მანკიევის განცხადებით, ამ დროისთვის ბაკურიანი ერთადერთი ქართული ზამთრის კურორტია, სადაც თოვლი მოვიდა, თუმცა, გასართობი ობიექტების სიმცირე ტურისტების უკმაყოფილებას იწვევს. რაც შეეხება საღამოს სასრიალო ტრასების განათებას, იგი დამსვენებლების უსაფრთხოების მიზნით ითიშება.

**„5 საათზე ტრასებზე განათებებს ვრთავთ, რადგან ტრასა მოყინულია და მასზე სრიალი არ შეიძლება“,** — აცხადებს მანკიევი საინფორმაციო სააგენტოსთან საუბრისას. იგეგმება თუ არა კურორტზე გასართობი ობიექტების მოწყობა მომავალი სეზონისთვის მაინც, მას ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.

**ეკა ბაქრაძე**

## ალიან-ჩალიანი

# შეწყდეს „ვანდალიზმი“ საყდრისის საბადოზე

**მეცნიერთა და საზოგადოების წარმომადგენელთა ნაწილი კულტურის სამინისტროსგან საყდრისის ისტორიულ საბადოზე „განხორციელებულ ვანდალიზმის შეწყვეტას“ ითხოვს.**

**მეცნიერთა და საზოგადოების წარმომადგენელთა ჯგუფმა კულტურის სამინისტროსთან აქცია გამართა, სადაც მათ საყდრისის ისტორიულ ოქროს საბადოზე კომპანია RMG gold-ის მიერ 7 იანვარს განხორციელებული საქმიანობა დაგმეს და სამინისტროსგან მოითხოვეს, რომ ძეგლზე განხორციელებული ვანდალიზმი შეწყდეს.**

**აქცია სამინისტროსთან სოციალური ქსელით დაიგეგმა და მასში 20-მდე მეცნიერი და საზოგადოების წარმომადგენელი მონაწილეობს. აქციაზე განცხადებები ადა მარშანიამ, ნანი ჭანიშვილმა, პროფესორმა მიხეილ ჯიბუტმა და სხვა პირებმა გააკეთეს. ისინი 5 000 წლის ოქროს საბადოზე სამუშაოების დაწყებას აპროტესტებენ. ამასთან, აქციის სამმა წარმომადგენელმა შეხვედრა გამართა მინისტრის აპარატის უფროს ლევან ხარატიშვილთან.**

**ამასთან, კომპანია RMG აცხადებს, რომ კომპანია წიაღით სარგებლობის ლიცენზიით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საყდრისის სალიცენზიო ტერიტორიაზე მოსამზადებელ სამუშაოებს აწარმოებს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით შპს RMG gold-ს გაფრთხილება მისცა.**

**სააგენტო კომპანიას მოუწოდებს, სამინისტროს შესაბამისი დასკვნის მიღებამდე მიწის სამუშაოები დაუყოვნებლივ შეაჩეროს. ამასთან, მათივე ცნობით, გაფრთხილებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომპანიას დაეკისრება ჯარიმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დადგენილი წესით.**

**ინტერპრესი**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №215

# აღმოსავლეთ-დასავლეთის ზღვარი იშლება...



ეს, ალბათ, მხოლოდ გერმანიაში ხდება: ქვეყნის წინსვლამ ის საბედისწერო ზღვარი თითქმის უკვე წაშალა... „ბერლინის კედელი“ კი ისტორიულ რეალიად დარჩა

ბერლინის ცენტრში ქალაქის ძველი სასახლის აღდგენა მიმდინარეობს. მეორე მსოფლიო ომამდე სასახლე კაისერების რეზიდენცია იყო. ომის დროს სასახლე მთლიანად დაინგრა და მის ადგილზე მოგვიანებით გდრ-ის გრანდიოზული მთავრობის სახლი - „რესპუბლიკის სასახლე“ აშენდა. გერმანიის გაერთიანების შემდეგ გდრ-ის სასახლე დაიხურა და ბუნდესტაგის სპეციალური გადაწყვეტილებით 2006-2008 წლებში მოხდა შენობის მთლიანი დაშლა. რამდენიმე წელი სასახლის ადგილზე ტრიალი მინდორი იყო, სადაც სტუდენტები და ტურისტები თამაშით და დასვენებით ირთობდნენ თავს.

ეს ადგილი ბერლინელებისთვის და მთელი გერმანიისთვის დიდი სიმბოლოს მატარებელია. სასახლე მდებარეობდა უნტერ დენ ლინდენზე, მდინარე შპრეეს პირას, ალექსანდერპლატცთან ძალიან ახლოს, ბერლინის საკათედრო ტაძრის მოპირდაპირედ, ბერლინის გამგეობის (რატჰაუზის) გვერდით. ეს ის ადგილია, რომლის მახლობლადაც გდრ-ის მთავრობამ ააშენა ცნობილი სატელევიზიო ანძა.

ანძა უნდა ყოფილიყო განსახიერება აღმოსავლეთ გერმანიის უპირატესობისა დასავლეთისაზე. მისი სიგრძე 368 მეტრია და ცივი ომის დროს, ორ ბანაკად გაყოფილი ბერლინის ყოველი წერტილიდან იყო მისი ხილვა შესაძლებელი.

რესპუბლიკის სასახლე, რომლის მშენებლობაც სამოცდაათიან წლებში დასრულდა, უკვე ოთხმოციანი წლების მიწურულს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დამარცხების სიმბოლოდ იქცა. სწორედ აქ, 1989 წლის 7 ოქტომბერს აღმოსავლეთ გერმანიის ხელისუფლება ზეიმობდა რესპუბლიკის დაარსების 40 წლისთავს. გორბაჩოვმა სწორედ ამ დღეს მიანიშნა: **„ვინც მოვლენებზე რეაგირებას აგვიანებს, ის ისჯება ცხოვრებისგან“**. გორბაჩოვი მიწვეული იყო ყველა საზეიმო ცერემონიალზე და როგორც თავად გერმანელები ამბობდნენ, ამ დღეს ის საბოლოოოდ დარწმუნდა გერმანიის გაერთიანების გარდუვალობაში. უდიდესი სამხედრო აღლუმის შემხედვარე და გდრ-ის მოხუცი ლიდერის – **ერიხ ჰონეკერის** დროში აცდენილი სადღეგრძელოების შემყურე დიად კომუნიზმზე, „საბჭოთა კავშირთან სამუდამო ძმობაზე“, მაშინ როცა სასახლის გარეთ ათიათასობით აღმოსავლეთ გერმანელი უკვე ღიად გამოდიოდა რეჟიმის წინააღმდეგ, გორბაჩოვი უბრალოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ორ დღეში ლაიპციგშიც დაიწყო გამოსვლები, მერე აღმოსავლეთ გერმანიის სხვა დიდ ქალაქებშიც. 1989 წლის 18 ოქტომბერს ჰონეკერი იძულებული გახდა გადამდგარიყო. მან მოსკოვს შეაფარა თავი, თუმცა, ჯერ კიდევ 7 ოქტომბერს რესპუბლიკის სასახლის დარბაზებში ის სრულიად დარწმუნებული იყო თავის ტრიუმფში, „სოციალიზმის უძლეველობაში“, გდრ-ისა და საბჭოთა კავშირის „მარადიულ ძმობაში“.

ქალაქ ბერლინის სასახლის ისტორია მე-15 საუკუნიდან იწყება. მისი მშენებლობის დაწყება 1443 წელს კურფიურსტ ფრიდრიხ II უკავშირდება. მე-18 საუკუნის დასაწყისიდან შენობის ფართობი გაიზარდა და გახდა ჯერ პრუსიის მეფეთა, მოგვიანებით გერმანიის კაიზერთა რეზიდენცია. თავის დროზე სასახლის მშენებლობა განპირობებული იყო ბრანდენბურგის სავაჭრო და პოლიტიკური ინტერესების ზრდით. საუკუნეების მანძილზე შენობის იერი იცვლებოდა– რენესანსიდან ბაროკოზე. მე-19 საუკუნეში სასახლეს დაუმატეს დიდი გუმბათიც.

მეორე მსოფლიო ომამდე ეს სასახლე ირეკლავდა გერმანიის ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებს – ომებს, რევოლუციებს... პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, 1914 წლის 31 ივლისსა და 1 აგვისტოს, სასახლის აივნიდან ბერლინელებს სიტყვით მიმართა კაიზერმა ვილჰელმ მეორემ. კაიზერმა ხალხს აუწყა მსოფლიო ომის დაწყება. ხალხმა მას შეჰფიცა ეროვნული ერთიანობა.

1945 წლის თებერვალ-აპრილის თვეებში ბერლინის საჰაერო და საარტილერიო დაბომბვის შედეგად სასახლე ჯერ დაიწვა, შემდეგ ნანგრევებად იქცა. გდრ-ის მთავრობამ აღარ ისურვა მისი აღდგენა.

ეს სასახლე და ეს ადგილი იქცა გერმანიის მუდმივი განახლების გამოხატულებად. სასახლე, რომელიც სხვადასხვა მეფის თუ კაიზერის მიერ საუკუნიდან საუკუნემდე შენდებოდა, იცვლიდა იერს, იხვეწებოდა მისი არქიტექტურა, ისტორიული და პოლიტიკური იერსახე, ინგრეოდა და ისევ თავიდან შენდებოდა – როგორც ყოველი „ახალი გერმანიის“ ახალი საყრდენი წერტილი, დღეს უკვე წარმოადგენს არა დიდი ისტორიის ერთ ფრაგმენტს, ისტორიის მტვერს, არამედ წარსულისა და მომავლის შემაკავშირებელ, ფორმით და სულით მუდმივად განახლებად ეროვნულ იდეას. შეიძლება ითქვას, მასში ისტორიაში არსებული ყველა გერმანია იყრის თავს – სხვადასხვაგვარნი, ურთიერთდაპირისპირებულნი.

2013 წლის 12 ივნისს დაიწყო ახალი სასახლის საძირკვლის ჩაყრა. გერმანიის მთავრობამ და ბერლინის სენატმა, ექსპერტთა სპეციალურ კომისიასთან კონსულტაციების შემდეგ, 2000 წლის 31 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომ ახალი სასახლე, სტრუქტურულად და იერით, ძველი სასახლის მსგავსი უნდა იყოს. 2007 წლის ნოემბერში კომისიამ დაადგინა მშენებლობის პირველადი ხარჯი – 105 მილიონი ევრო. ეს თანხა შენობის მხოლოდ ერთი ნაწილისთვისაა გათვალისწინებული. სავარაუდოდ, მშენებლობის საერთო ფასი 670 მილიონი ევრო იქნება.

2007 წლის 26 დეკემბერს გამოცხადდა ღია კონკურსი არქიტექტორთათვის. თავიდან კონკურსში მონაწილეობას იღებდა 158 არქიტექტურული ფირმა, მაგრამ კონკურსის მეორე ეტაპზე მხოლოდ 30 ფირმა გავიდა. 2008 წლის 30 ნოემბერს ჟიურიმ გამარჯვებულად ფრანცისკო სტელას არქიტექტურული ფირმა დაასახელა. ჟიურის აზრით, იტალიელი არქიტექტორის პროექტი ეყრდნობა და გამოხატავს სასახლის ისტორიულ იერსახეს და იმავდროულად თანამედროვეობასაც პასუხობს. სასახლის ერთ ნაწილში განთავსდება სასტუმრო, ძირითადად კი ის იქნება მსოფლიო ხელოვნების და კულტურის ცენტრი, მუზეუმი, საგამოფენო დარბაზები, ბიბლიოთეკა.

თავად ბერლინელები არაერთმნიშვნელოვნად აფასებენ ქალაქის სასახლის მშენებლობას. ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ სულ არ იყო „რესპუბლიკის სასახლის“ დანგრევა აუცილებელი და ახლა ამ ახალი სასახლის მშენებლობის წამოწყება საჭირო, რადგან მათი აზრით, პროექტი ძალიან დიდ ხარჯს ითხოვს. **ეს მოქალაქეები ითვალისწინებენ ბერლინის ღრმა ფინანსურ კრიზისს, რომელშიც ქალაქი 90-იანი წლებიდან აღმოჩნდა. გერმანიის გაერთიანების შემდეგ ბერლინის რეკონსტრუქციისა და განახლების „ეფექტური პროგრამა“ კრახით დასრულდა, რის გამოც გერმანიის დედაქალაქი დღეს ქვეყნის ერთ-ერთი უღარიბესი ქალაქია, უზარმაზარი ვალებით.** ბერლინი დღეს ცოცხლობს დასავლეთ გერმანიის, პირველ რიგში – ბავარიის მიწის მრავალმილიარდიანი კრედიტებით და დოტაციით, ასევე ტურისტული ბიზნესით. ყოველივე ამის ფონზე გერმანიას მძიმედ გადააქვს ევროს კრიზისი. როგორც ევროკავშირის ლიდერი სახელმწიფო, ის თავის თავზე იღებს ევროპის ღარიბი ქვეყნების ეკონომიკების გასაჯანსაღებლად ასეულობით მილიარდი ევროს გაცემას. რიგითი გერმანელი გადამხდელისთვის მისი სახელმწიფოს ასეთი „გულუხვობა“ გაუგებარიცაა და აღმაშფოთებელიც. მათ მიაჩნიათ, რომ გერმანიას თავისი პრობლემები ჰყოფნის მოსაგვარებლად: უმუშევრობის ზრდა, გადასახადების ზრდა, მინიმალური ხელფასის მომატება და ა.შ.

და მიუხედავად ამისა, გერმანია არამც თუ ანელებს განვითარებას, ის არ ივიწყებს წარსულის რესტავრაციას! გერმანიის ყველა ისტორიულ ქალაქში მიმდინარეობს დანგრეული ისტორიის თავიდან შენება. თავიდან შენდება და რესტავრირდება ეკლესიები, სასახლეები, მუზეუმები. ძველისა და ახლის შერწყმის ამ დინამიურ პროცესში თაობები ერთმანეთს აიმედებენ – **„არაფერი არ არის დაკარგული, გერმანია კვლავ აღდგა და ის თავის საუკეთესო მომავალს სწორედ ახლა აშენებს“.**

მშენებლობის დასრულება 2018 წლისთვისაა გათვალისწინებული. უკვე რამდენიმე თვე გავიდა ქალაქის სასახლის საძირკვლის ჩაყრიდან. ბერლინელების და ქალაქის სტუმრების თვალწინ ნელ-ნელა თავიდან იბადება წარსული ისტორიის დიდებული სხეული. **„მარადიულთან დაბრუნების თემა“** ადამიანებს ისევ სხვანაირად ჩააფიქრებს... **აღდგენილი სასახლე კიდევ ერთხელ გაუძლიერებს „ფერფლიდან აღმდგარი“ გერმანიის მარად სწრაფვას – მოიპოვოს კუთვნილი ადგილი ისტორიის უსასრულობის წინაშე.**

**ზვიად მიქელაძე,**
ბერლინიდან





საქართველოს პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის საახალწლო ეპისტოლეს გამო ინსცენირებულმა სკანდალმა ყოველგვარ ზღვრულს გადააჭარბა, მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის გახლავთ, უწმინდესის სიტყვების სწორი ინტერპრეტაცია და სიღრმისეული განმარტება სასულიერო ელიტამ ვერ შეძლო (თუ არ ვიგულისხმებთ დეკანოზ გიძინა გუნიას გამოსვლას „ერთსულოვნების“ დილის ეთერში).

ამ ფონზე საგულისხმოდ მიგვაჩნია კათოლიკე ეპისკოპოსის ჯუზეპე პაზოტოს არგუმენტირებული გამოსვლა საქართველოს პატრიარქის დასაცავად. გთავაზობთ ფრაგმენტებს მისი სიტყვიდან და პროფესორ ასუნტა მორესის მეცნიერულ თვალსაზრისს. ეპისკოპოსი ბრძანებს, რომ გაოცებულია იმ რეაქციებით, რომლებიც ჩვენი პატრიარქის საშობაო ეპისტოლეს მოჰყვა.



# დედაც და მამაც მხოლოდ ერთია...

### ჯუზეპე პაზოტო:

ეპისტოლე მოვისმინე პირდაპირი ეთერით და დამრჩა ზოგადად პოზიტიური შთაბეჭდილება. ამ ეპისტოლეს ჩანაფიქრში მსჯავრზე მეტად ამოვიკითხე **მწყემსის ზრუნვა, რომელიც სვამს კითხვას, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს იმ არჩევანს, რასაც აკეთებს დღევანდელი საზოგადოება...**

ბიოეთიკური პრობლემები ის დიდი არეალია, რომელზედაც ეკლესიებს მართებთ თავიანთი სიტყვის თქმა და ყოველგვარი წინასწარშექმნილი მსჯავრისაგან თავისუფალნი უნდა სვამდნენ კითხვებს იმაზე, თუ რამდენად ერთგულნი არიან იმ ხედვისა, რომელიც ღმერთს აქვს ადამიანზე. ის, რასაც საზოგადოება ფიქრობს, მაშინაც კი, როცა უმრავლესობაზეა ლაპარაკი, ყოველთვის როდი შეიძლება იყოს მისაღები, მაშინაც კი, თუ ეს გახდება არაპოპულარობის მიზეზი. ეკლესიას აქვს უფლება და მოვალეობა ილაპარაკოს ეთიკაზე, როგორც საკუთარ მორწმუნეებთან, ასევე, ნებისმიერ ადამიანთან, და დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ ამგვარად შეაქვს თავისი წვლილი საზოგადოების ზრდასა და აღზრდაში.

**მიმაჩნია, რომ ეკლესიამ ყოველთვის სიფაქიზით და პატივისცემით უნდა შეხედოს დედობის წყურვილს (არა „უფლებას“), რაც ყოველ ქალშია, და შთამომავლობის წყურვილს (არა „უფლებას“), რაც ყოველ ოჯახშია.**

ვფიქრობ, რომ ყველასათვის ნათელი უნდა იყოს ის, რომ **შვილები ღმერთის საჩუქარია ყოველთვის, რაგვარადაც არ უნდა ხდებოდეს მათი გაჩენა. საჭიროა მათი, როგორც ღვთის შვილთა ღირსების მატარებელთა მიღება** (ამაში მდგომარეობს აბორტის დაუშვებლობა), რამენაირი დისკრიმინაციის გარეშე (იქნება ეს რელიგიური, რასობრივი, სოციალური კუთვნილების, ჯანმრთელობის თუ განაყოფიერების ხერხის ნიშნით). დაუშვებელია დათანხმება იმ მოსაზრებასთან, თითქოს წინაპრების რაიმე ცოდვა გადადიოდეს შთამომავლობაზე. საკუთარ ცოდვებზე თითეული თავად აგებს პასუხს ღმერთის წინაშე.

... იმისათვის, რომ წარმოვაჩინო, თუ რაოდენ რთულია და ვრცელი სუროგატული დედობის საკითხი, აქვე მომყავს, როგორც მაგალითი, იმ მოხსენების ტექსტი („დედა მხოლოდ ერთია“), რომელიც ბოლო სიმპოზიუმზე წაიკითხა მოწვეულმა პროფესორმა ასუნტა მორესმა. ამ ქალბატონს ავალია წარმოადგინოს იტალიელი ეპისკოპოსები სახელმწიფო კომისიებში ბიოეთიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

### ასუნტა მორესი:

1978 წლის ივლისი შეგვიძლია ჩავთვალოთ ე.წ. „ანთროპოლოგიური საკითხის“ დაწყების თარიღად, ანუ იმ რევოლუციისა, რომელიც კაცობრიობას იმ ფუნდამენტს უცვლის, რომელსაც აქამდე ყველანი ვიცნობდით.

1978 წლის ივლისში დაიბადა ლუიზა ბრაუნი, პირველი ბავშვი, რომელიც ჩაისახა სინჯარაში. პირველად კაცობრიობის ისტორიაში ჩასახვა მოხდა დედის მუცლის გარეთ.

ამგვარად დაიწყო IN VITRO განაყოფიერების ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას იძლევიან ემბრიონი ჩამოყალიბდეს ქალის სხეულის გარეთ, ლაბორატორიაში, ორი გამეტის, სპერმატოზოიდისა (მამრობითი) და კვერცხუჯრედის (მდედრობითი) შეერთებით: ჩასახვა, რომელიც ადამიანის ხელით ხორციელდება.

IN VITRO განაყოფიერებით დასრულდა კონტრაცეპციით დაწყებული გზა: ამ უკანასკნელის შემთხვევაში იყო ხორციელი ურთიერთობა შვილების გარეშე, ახლა კი, ხელოვნური განაყოფიერებით, არიან შვილები ხორციელი ურთიერთობის გარეშე. აქ ქრისტიანებმა პირველებმა ამოიღეს ხმა: კონტრაცეპციის შემთხვევაში ითქვა, რომ არ შეიძლებოდა პროკრეაციის გამოყოფა სექსუალურობისაგან. ხოლო სინჯარაში ჩასახვა ცვლიდა კაცობრიობის ფუნდამენტურ აქტს, რომელიც აერთიანებს ყოველ ადამიანურ არსებას (ყველანი ჩასახულები არიან კაცისგან და ქალისგან დედის მუცელში), სახიფათოდ ეცვლება რაღაცა ჩვენს ადამიანურ ბუნებას.

ტექნიკურად ხელოვნური განაყოფიერება არ არის უბრალო გასეირნება, არამედ ექსკლუზიურად ქალისათვის მძიმე ტვირთია.

მამაკაცებმა მხოლოდ სპერმა უნდა გაიღონ მასტურბაციის საშუალებით. ქალები კი ჯერ ექვემდებარებიან მძიმე ჰორმონალურ ზემოქმედებას, რომელიც მათ საშუალებას აძლევს გამოიმუშაონ კვერცხუჯრედები. ბუნებრივად ქალი ერთ კვერცხუჯრედს გამოყოფს ერთ თვეში, ჰორმონალური ზემოქმედებით კი გამოიყოფა უფრო მეტი...

ამ ეტაპზე ბიოლოგები ლაბორატორიაში ახორციელებენ განაყოფიერებას, სპერმატოზოიდებისა და კვერცხუჯრედის ერთად მოთავსებით ან სპეციალური ხელსაწყოთი შეყავს სპერმატოზოიდი კვერცხუჯრედში. განაყოფიერებული კვერცხუჯრედი იდება ინკუბატორში და ელოდებიან, რათა გამოჩნდეს, იზრდება თუ არა, იწყებს გაყოფას თუ არა: თუკი, მაშინ ემბრიონი შეიძლება გადატანილ იქნეს ქალის საშვილოსნოში.

IN VITRO განაყოფიერება არ კურნავს სტერილურობას (ამ ინტერვენციების შემდეგ მამაკაცი და დედაკაცი სტერილურები რჩებიან როგორც მანამდე), არამედ გადააქვს ჩასახვა ქალის სხეულიდან მის გარეთ.

მაშასადამე, სად არის პრობლემა?

ფაქტია, რომ ამ ტექნოლოგიებით დედობა იყოფა უფრო მეტ თანამონაწილეებად, როდესაც მანამდე ერთი იყო დედა, ახლა შეიძლება იყვნენ სამი ან ოთხი.

შესაძლებელია გენეტიკური დედის ყოფნა, ანუ ის ვინც საკუთარ კვერცხუჯრედს იღებს.

ორსული დედა (ან სუროგატული) ანუ ის, რომელიც საკუთარ საშვილოსნოს სთავაზობს.

შემდეგ კანონიერი დედა, ანუ ის ვინც უკვეთავს ბავშვს, და რომელიც აღზრდის მას.

შესაძლებელია ასევე მეოთხე დედა, რომელიც კვერცხუჯრედების ნაწილს სთავაზობს, აქედან გამომდინარე გასანაყოფიერებელ კვერცხუჯრედს შეიძლება გააჩნდეს ორი ქალის მოდიფიცირებული დნმ. ეს ძალიან იშვიათი ტექნოლოგიაა, რომლის განვითარებასაც ფიქრობენ და უკვე დაიბადა ბევრი ბავშვი სამი ადამიანის დნმ.-ით. ამ ტიპის ექსპერიმენტები შეწყვიტეს, რადგანაც ანომალიების შემთხვევები მრავალია.

დავუბრუნდეთ დედებს: არანკლებ სამი. შემდეგ არიან მამები: ერთი ბიოლოგიური, რომელიც იღებს საკუთარ სპერმას, მეორე სუროგატული, რომელიც სუროგატული დედის მეუღლეა, და შემდეგ კანონიერი, რომელმაც შეუკვეთა ბავშვი და რომელთანაც გაიზრდება პატარა.

მაშასადამე საქმე გვაქვს ექვს მშობელთან (შვიდი თუკი ემატება კვერცხუჯრედზე იშვითი მანიპულაციების ტექნოლოგიები). მაგრამ თუ ადამიანს ბევრი მშობელი ყავს, ეს ნიშნავს რომ ობოლია.

კვერცხუჯრედები და სპერმა არასოდეს არის უფასო და უანგაროდ გაღებული, ნაყიდია და გაყიდული. საკუთარი კვერცხუჯრედების გასაყიდად ქალები ექვემდებარებიან ხანგრძლივ და სახიფათო ზემოქმედებას, რომელზეც მხოლოდ ფულის გამო თანხმდებიან, ისევე როგორც მხოლოდ ფულის გამო ხდება საკუთარი საშვილოსნოს გაქირავება სუროგატული დედობრიობის დროს.

როდესაც არიან ყველა ეს მშობლები, ლაპარაკობენ „კოლაბორაციულ რეპროდუქციაზე“: ზოგჯერ კვერცუჯრედები და სპერმა გაიცემა დების, ბიძაშვილების, ძმების მიერ და ასე იქმნება ისეთი ნათესაური კავშირები, რომლებიც მანამდე არ არსებობდა და ამიტომაც არ არსებობს სიტყვები მათ განსამარტავად. თუ ბავშვი იბადება იქ ქალის კვერცხუჯრედიდან, რომლის დაც საშვილოსნოს გაიღებს ორსულობისათვის, რომლის იქნება შვილი?

რახან ჩასახვა ლაბორატორიაში ხდება, მისი შეკვეთა შეუძლიათ ჰომოსექსუალ წყვილებს, მამრობითსა თუ მდედრობითს, ან კიდევ დაუქორწინებელ ადამიანებსაც: ამგვარად დედობრიობა იქცევა „Gender Neutral“.

ჩვენ ვართ მამრობითი ან მდედრობითი სქესის ინდივიდები უკვე ზიგოტად ყოფნის პერიოდიდად. არ არსებობენ საშუალო სქესის ემბრიონები. სქესობრივი განსხვავება გამოიხატება პროკრეაციაში: მხოლოდ მამრსა და მდედრს, მხოლოდ კაცსა და ქალს შეუძლიათ შთამომავლობის მოცემა.

შთამომავლობის მოცემის გადატანამ სხეულიდან ლაბორატორიაში შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ მშობლები არიან ისინი ვინც შეუკვეთეს შვილი. ახლა კი მსოფლიოში (კალიფორნიაში და ევროპაში) მოსამართლეები უშვებენ, რომ განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება სუროგატულ დედას, კანონიერი მშობლები შეიძლება იყვნენ ორზე მეტი.

ყოველივე აქედან გამომდინარე IN VITRO განაყოფიერება კაცობრიობის იმ დამახასიათებელ ნიშნებს ცვლის, რომლებსაც აქამდე ვიცნობდით.

ეს არის ანთროპოლოგიური საკითხი, რწმენისა კი არა, მიუხედავად იმისა რომ აქამდე მხოლოდ ქრისტიანები იცავენ ადამიანურ ბუნებას.

მომავლის კაცობრიობა ობოლი ინდივიდებით წარმოდგენილი, ძალიან მსუბუქი ოჯახური კავშირებით. აქამდე ნაცნობი კაცობრიობისაგან ძალიან განსხვავებული მაგრამ არა უკეთესი.

ყველაფერი ეს ყველანაირ ფასად შვილის ყოლის სურვილის სახელით ხდება, მაგრამ შესაძლებელია, რომ ყველა სურვილი გადაიქცეს უფლებად? შესაძლებელია რომ შვილს მოეპყრო როგორც უფლებას? შეიძლება უთხრა შვილს ჩემი უფლება ხარ?

გაქირავებული საშვილოსნო, შეკვეთილი ორსულობა, სუროგატული დედობა:

მრავალი და განსხვავებული ექსპრესიები არსებობს, რომლებიც გვიყვებიან მსოფლიოში ამ მუდამ უფრო მზარდ ფენომენზე.

ქალი, რომელიც ორსულდება, ხდება კონტეინერი იმ ბავშვისთვის, რომელიც დაიბადება. მისი ფეხმძიმობა არის სამსახური იმისათვის, ვინც გადაუხადა. ცხრა თვის განმავლობაში მას უხსნიან, რომ მუცელში, რომელიც ეზრდება, მისი შვილი არ არის, არამედ უცხოა, უკვე სხვას ეკუთვნის, იმას ვინც შეუკვეთა და რომელსაც მშობიარობის შემდეგვე დაუთმობს ბავშვს. ჩატარებული გამოკითხვებით ყველაზე მტკივნეული და მძიმე ამ ქალებისათვის ბავშვთან განშორებაა. ეს ქალები ყოველთვის ღარიბები არიან, განათლების გარეშე, წერა-კითხვის უცოდინარნი. ძალიან ძნელია, წარმოიდგინო შეძლებული, საქმიანი და კარიერაში წარმატებული ქალი, რომელიც დათანხმებოდა ასეთი სახის ზემოქმედებას.

ზოგიერთი კვლევები ლაპარაკობენ წელიწადში 2 მილიარდ დოლარის ბრუნვაზე ამ საქმეში. გაქირავებული დედობა 10 000 დოლარიდან 35 000 დოლარამდე ჯდება. ამერიკის შეერთებულ შტატებში 80 000-100 000. აქედან ქალებს ხვდება 1 ან 2 % გამომდინარე კლინიკიდან სადაც მზადდება, ხორციელდება და მთავრდება ორსულობა. სუროგატი დედების გადაბირება ყველაზე ხშირად ინდოეთსა და უკრაინაში ხდება.

სხვადასხვა ქვეყნებში კანონმდებლობა სხვადასხვანაირად ეპყრობა ამ ფენომენს.

იტალიაში დაიბადა კომიტეტი „დედა მხოლოდ ერთია“ გაქირავებული საშვილოსნოს წინააღმდეგ. ვაწარმოებთ საერთაშორისო კავშირების ორგანიზებას, კარგი იქნებოდა რომ ამ სიმპოზიუმიდან შექმნილიყო კავშირი ჩვენს კომიტეტთან. აქ პოლიტიკას არ ეხება საქმე, იგი აერთიანებს ყველას, ვინც ეწინააღმდეგება ამ საქმიანობას.



**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სამხეთი ოსეთი რუსეთთან მიერთებაზე ფიქრობს

## რესპუბლიკის მეთაურს თხოვენ, ამ საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმი მოაწყოს

**სამხრეთი ოსეთის ყველაზე დიდმა პარტიამ „ერთიანმა ოსეთმა“, რომელსაც სათავეში პრეზიდენტობის ექსკანდიდატი ანატოლი ბიბილოვი უდგას, მიმართა რესპუბლიკის ხელმძღვანელს ლეონიდ თიბილოს თხოვნით, გამართოს რეფერენდუმი საკითხზე „შეერთება ჩრდილოეთ ოსეთთან“. როგორც განმცხადებლები ვარაუდობენ, რეფერენდუმზე ამომრჩევლებმა უნდა უპასუხონ შეკითხვას, ხედავენ თუ არა ისინი სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთს „როგორც რუსეთის ფედერაციის ერთიან სუბიექტს“.**




შესაძლო პლებისციტის ორგანიზაციის საკითხებს „ერთიანი ოსეთის“ დეპუტატები აპირებენ, განიხილონ თებერვალში ცხინვალში კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ ორივე რესპუბლიკის — სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთის ყველაზე ავტორიტეტულმა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა ფიგურებმა.

რეფერენდუმის ინიციატორები ვარაუდობენ, გამართონ იგი პარლამენტის არჩევნებთან ერთად, რომელიც ზაფხულისთვისაა გათვალისწინებული. ამ დროს პარტია „ერთიანი ოსეთის“ დეპუტატებს სურთ, რომ განცხადებით რეფერენდუმის შესახებ გამოვიდეს სამხრეთი ოსეთის მოქმედი პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი. მათ იმედი აქვთ, რომ ეს საშუალებას მისცემს, „თავიდან აიცილონ ბრალდება მცდელობაში, მოიპოვონ პოლიტიკური ქულები არჩევნების წინ“. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ბატონი თიბილოვი უარს იტყვის, გამოაცხადოს პლებისციტის შესახებ, „ერთიან ოსეთელებს“ განზრახული აქვთ, დამოუკიდებლად გაიარონ მთელი იურიდიული პროცედურა.

პარტიის ლიდერის ანატოლი ბიბილოვის სიტყვებით, ასეთივე რეფერენდუმი უნდა გაიმართოს რუსეთშიც, ამისთვის კი „საჭიროა კოლოსალური მუშაობა რუსეთის საპარლამენტო პარტიებთან და საზოგადოებრიობასთან“.

### როგორ ჩათვალეს სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებლად

**მოქალაქეთა დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი უნდა იყვნენ დამოუკიდებლები. ეს გამოარკვიეს „ლევადა-ცენტრის“ სოციოლოგებმა 2013 წლის აგვისტოში.** ამ დროს ნახევარს მიაჩნია, რომ ამ ტერიტორიების სუვერენიტეტის აღიარებამ რუსეთს არც სარგებელი და არც ზიანი არ მოუტანა. ამავე დროს რუსეთელთა უმრავლესობა მთლიანად დადებითად ეკიდება საქართველოს.

### რა მიიღეს აფხაზეთმა და სამხრეთმა ოსეთმა აღიარებიდან ხუთი წლის შემდეგ

**ხუთი წლის წინათ რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა. ამ დროის განმავლობაში სოხუმში, ცხინვალსა და თბილისში შეიცვალა ხელისუფლება, მოხდა ცვლილებები რუსეთთან ურთიერთობებში.**

Коммерсант

# აფხაზეთის იზოლაცია სოჭის ოლიმპიადის მიზეზით

**ზამთრის ოლიმპიურ თამაშებამდე ერთი თვით ადრე რუსეთმა უსაფრთხოების ზომები გაამკაცრა და განსაკუთრებული რეჟიმი აამოქმედა. სოჭის მიმართულებით მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ავტოტრანსპორტს შეუშვებენ და ისიც განსაკუთრებული ნებართვით. რას და რა იმედით სთავაზობს თბილისი აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც დაწესებული შეზღუდვების გამო გარკვეულ იზოლაციაში მოექცევიან?**

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, დამტკიცებულია „განაცხადების ჩაბარების წესები“ რუსეთის საზღვრის გადალახვის მსურველთათვის. განცხადებები მიიღება საკრედიტაციო მოწმობების გაცემის მიზნით ყოველდღიური სიების შესადგენად.

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, სიები მკაცრად არის ლიმიტირებული და რუსეთის საზღვრის გადალახვის უფლება ყოველდღიურად მხოლოდ 45 ავტოსატრანსპორტო საშუალებას მიეცემა. დამატებით გათვალისწინებულია არა უმეტეს 5-ერთეულიანი რეზერვი მხოლოდ გადაუდებელი სიტუაციებისთვის.

სია ყალიბდება პრიორიტეტების მიხედვით, სადაც, მაგალითად, სამგზავრო ავტობუსებსა და სატვირთო ავტომობილებზე უფრო პრიორიტეტულად მიიჩნევა ოპერატიული სამსახურების ტრანსპორტი და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის მაღალი თანამდებობის პირთა სამსახურებრივი ავტომობილები. ანუ ნებისმიერ ბიზნესმენს შესაძლებელია ნებისმიერ დროს უარი უთხრან და რუსეთისკენ გამგზავრების გეგმები ჩაუშალონ. სწორედ ამიტომ, ბევრისთვის ადვილი მისახვედრია, რომ სიაში ჩასასმელად კორუფციული გზებიც გამოინახება.

ანალიტიკოსებს არ უკვირთ, რომ გასული წლის ბოლოს ვოლგოგრადში მომხდარი აფეთქებების კვალდაკვალ, რუსეთმა უკეთ გააცნობიერა ტერორიზმის რეალური საფრთხე და უსაფრთხოების ზომების გამკაცრებით თადარიგის დაჭერა გადაწყვიტა. თუმცა, ფაქტია ისიც, რომ სიფრთხილეს რუსეთი თავის მიერვე ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის მისამართითაც იჩენს და ამ მოტივით ამგვარი ვითარების საპასუხოდ, მართალია, არაოფიციალური მოწოდების სახით, თბილისი აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანებს ალტერნატიულ გზებს სთავაზობს. როგორც სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილმა უთხრა 7 იანვარს რადიო „თავისუფლებას“, რადგანაც სოჭის ოლიმპიადასა და შემდეგ დაგეგმილ პარაოლიმპიადასთან დაკავშირებული პროცესები აპრილამდე გაგრძელდება, სწორედ ეს პერიოდი უნდა იქნეს გამოყენებული ალტერნატიული შესაძლებლობების შესათავაზებლად: **„შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი თავისუფალი გადაადგილების საშუალება დღეს მთლიანად აფხაზეთის მოსახლეობას ექნება სწორედ ზუგდიდის რაიონის საშუალებით, სამეგრელოს მხრიდან. ჩვენ უნდა მივცეთ საშუალება ამ ადამიანებს, ნახონ სხვა შესაძლებლობები გადაადგილებისა და მომავალში, როცა მიხვდებიან, რომ ზუგდიდის მიმართულებით დანარჩენ საქართველოში გადაადგილება არაფერ პრობლემას არ წარმოადგენს, თუკი ამ თვეების მანძილზე მიეჩვევიან ჩვენი მიმართულებით მოძრაობას, მომავალში, როცა გაიხსნება სოჭის მიმართულება, ჩვენი მხრიდანაც ექნებათ მათ ალტერნატიული გზები თავიანთი ბიზნესის, საქმიანობისა თუ გარკვეული პირადი ინტერესების რეალიზაციისთვის“.**




პაატა ზაქარეიშვილი ამგვარ პერსპექტივას იმედით უყურებს და, როგორც ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, ამ იმედს მას ბოლო თვეებში გამოვლენილი პროცესები აძლევს. სახელმწიფო მინისტრი ამბობს, რომ გაიზარდა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკიდან საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გადმომსვლელთა რიცხვი: **„სერიოზულად გაიზარდა, ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე და ასევე — პირადი ინტერესებიდან, რადგან ადამიანები მიხვდნენ, რომ შეუძლიათ, ჩამოვიდნენ, ნათესავი მოინახულონ და მათ არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ“.**

მათ შორის, ვინც სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებულ პროცესებთან მიმართებით პაატა ზაქარეიშვილის ოპტიმიზმს არ იზიარებს, „ევროპული კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი კახა გოგოლაშვილიც გახლავთ. როგორც ანალიტიკოსმა 7 იანვარს უთხრა რადიო „თავისუფლებას“, რუსეთი საკუთარი ინტერესების საზიანოდ ყურადღებას არავითარ შემთხვევაში არ მოადუნებს: **„რუსეთში ოლიმპიადის ჩატარება არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთმა მიატოვა აფხაზეთი... რომ რუსულმა დაზვერვამ, რუსულმა უშიშროების სამსახურებმა მიატოვეს აფხაზეთი და დაუშვებენ, რომ ვინმემ თავისუფლად წყალში ჩაუყაროს იმდენი შრომა, რაც გასწია რუსეთის მთავრობამ თავისი ყველა ამ ინსტიტუტით იმისთვის, რომ აფხაზეთი აბსოლუტურად მოექციათ იზოლირებაში საქართველოს დანარჩენი ტერიტორიიდან... ნამდვილად იქნება გარკვეული მარაგი მოგროვილი აფხაზეთში. ნუ დაგვავიწყდება, რომ აფხაზეთის მთავრობა ძალიან ინტენსიურად მუშაობს კრასნოდარის მხარის ხელმძღვანელობასთან პირდაპირ — ყველანაირ ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე არის პირდაპირი კოორდინაცია მასთან.“**

მიუხედავად ამისა, კახა გოგოლაშვილი მაინც მნიშვნელოვნად მიიჩნევს აფხაზეთში მცხოვრები ადამიანებისთვის ალტერნატიული გზების შეთავაზებისა და მათი დაინტერესების მცდელობას, თუნდაც შორეულ პერსპექტივებზე გათვლით. თუმცა, უმჯობესია, თუკი შეთავაზება მოხდება ჩუმად და უხმაუროდ, რათა საპასუხოდ არ მივიღოთ ხმამაღალი უარი, რამაც ურთიერთობებში შეიძლება კიდევ უფრო დიდი პრობლემა წარმოშვას.

**ლელა კუნჭულია**

## დედამიწის ზურგზე



**12 წლის პატიმრობის შემდეგ ბინ ლადენის მცველს გუანტანამოს ციხიდან გამოუშვებენ**

იემენელი მაჰმუდ მუჯაჰიდი გახდა გუანტანამოს პირველი ტუსაღი, რომელიც წარსდგა ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო კომისიის წინაშე. კომისია ღებულობს გადაწყვეტილებას პატიმრების გათავისუფლების ან იმ ქვეყნების ციხეებში გადაყვანის შესახებ, რომელთა მოქალაქეებიც ისინი არიან. ციხეში ყოფნის მთელი ვადის განმავლობაში მისთვის ბრალდება არც წაუყენებიათ.

* * *

**აკადემიკოსმა ყაზახეთიდან განაცხადა, რომ გადაჭრა „ათასწლეულის პრობლემა“, გაიმეორა პერელმანის მიღწევა**



მათემატიკოსი მუხტარბაი ოტენბაევი ირწმუნება, რომ მონახა ნავიე-სტოკსის განტოლების გადაწყვეტილება. ეს არის ერთ-ერთი იმ შვიდ ურთულეს მათემატიკურ ამოცანათა შორის, რომლებიც „ათასწლეულის პრობლემების“ სიაში შედის. დღემდე ამგვარი ამოცანის გადაჭრა შეძლო მხოლოდ ოტენბაევის რუსმა კოლეგამ სანქტ-პეტერბურგიდან. ამისთვის დაწესებულია ჯილდო ერთი მილიონი დოლარის ოდენობით.

* * *

**ხოდორკოვსკი ჩავიდა ისრაელში, რათა შეხვდეს თავის ყოფილ პარტნიორებს „იუკოსიდან“, რომლებიც დაუსწრებლად გაასამართლეს რუსეთში**



ადგილობრივი ფინანსური გაზეთის მონაცემებით, ყოფილი ნავთობის მაგნატი, კერძოდ, შეხვდა ლეონიდ ნევზლინს და ვლადიმირ დუბოვს. ერთ კვირაზე ნაკლები ხნის წინათ იტყობინებოდნენ, რომ ის ჩავიდა შვეიცარიაში, სადაც მისი ცოლი და შვილები ცხოვრობენ. მანამდე კი ციხიდან რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ შეწყალების შემდეგ ხოდორკოვსკი გერმანიაში იმყოფებოდა.

* * *

**ამერიკის შტატში ქიმიური გადინების გამო გამოცხადდა საგანგებო შემთხვევა, დაიკეტა მთელი რიგი სკოლები და რესტორნები**

რეჟიმი მოქმედებს დასავლეთი ვირჯინიის შტატის ცხრა ოლქში. აკრძალვა — გამოიყენონ ონკანის წყალი — შეეხო 100 ათას მომხმარებელს. გადინება მოხდა ჩარლსტონის საწარმოში. ხელზე მოხვედრილი ნივთიერება ითვლება სახიფათოდ, თუმცა, არა სასიკვდილოდ. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, მყიდველები თაროებიდან იტაცებენ ბოთლის წყალს და ჩხუბობენ კიდეც მისთვის.



◎ ტრაგედია რომ არ განმეორდეს

# ვერაგულად მოკლული პოეტის უკვდავსაყოფად




## აფხაზეთის ომი ჩვენი ტკივილია

ომი, რომელმაც გუშინდელი მეგობარი, ნათესავი, მეზობელი მტრად გვიქცია,უამრავი სისხლი დაღვარა და დროებით ჩვენი მიწა-წყალი ჩამოგვაშორა.

ომი,სადაც ჯარისკაცი მარტო ჯარისკაცის წინააღმდეგ კი არა, ყველას წინააღმდეგ იბრძოდა, რისი სამწუხარო მაგალითია ცნობილი პოეტის ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ტრაგიკული ისტორია, რომელიც სეპარატისტებმა ასე დაუნდობლად გამოასალმეს სიცოცხლეს. სრულიად უდანაშაულო, უმწეო, სიკეთითა და სიყვარულით აღსავსე ქალბატონი, შემოქმედი, რომელიც მთელი ცხოვრება ერთგულად ემსახურებოდა სამშობლოს, ლიტერატურას და თავისი წვლილი შეჰქონდა მის განვითარებაში.

...ეთერ სამხარაძე ზემო იმერეთის პატარა და ულამაზესი ქალაქის — ჭიათურის მკვიდრია.ქალაქთან ახლოს მდებარე სოფელ რგანში დაიბადა მომავალი პოეტი, ამ სოფლის სკოლის კედლებში ეზიარა განათლებას, შეიყვარა ქართული სიტყვა, დაწერა პირველი ლექსი.

...ცხოვრება მოულოდნელობითაა სავსე და ახალგაზრდა გოგონა ბედისწერამ დააკავშირა მომავალ მეუღლეს ხუტა ჯღამაძეს, რომელიც დიდი სამამულო ომის პერიოდში გაიცნო. მაშინ ეთერი 17 წლის იყო. მოხდა ისე, რომ ახალგაზრდა წარმოსადეგ მამაკაცს და ულამაზეს გოგონას ერთმანეთი შეუყვარდათ. მათ იქორწინეს და თავისი მომავალი ბედი სამუდამოდ დაუკავშირეს აფხაზეთს. სწორედ სოხუმში შექმნეს ხუტა ჯღამაძემ და ეთერ სამხარაძემ შესანიშნავი ოჯახი, მათ სამი შვილი ეყოლათ... რაც მთავარია, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში





თავიდანვე აქტიურად ჩაერთო. ქალბატონი ეთერი თავისი პოეტური ნიჭისა და არაჩვეულებრივი იმერული იუმორის წყალობით ერთ-ერთი გამორჩეული კოლორიტი გახლდათ. მისი სახლის კარი მუდამ ღია იყო მეგობრებისათვის: აფხაზებისათვის,რუსებისათვის, სომხებისათვის... მის პოეზიას საქართველოში ბევრი იცნობდა... მის ლექსებზე სიმღერებს წერდნენ, უწყობდნენ შემოქმედებით საღამოებს...

უამრავი წიგნის ავტორი იყო. ძალიან უყვარდა მშობლიური კუთხე, რომელსაც არასოდეს ივიწყებდა. ამიტომაა, რომ მის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია იმერეთს, ჭიათურას.

**„ისე როგორ მოვკვდები, ერთხელ კიდევ არ გნახო, იქ კოპიტის ტოტების ჩრდილს გართხმული ბალახო, არ ვუმღერო გრძნეულად იმერეთის ნათელ მზეს, ია მიმობნეულა საშევარდნოს კალთებზე...“**

...იმერეთზე არანაკლებ უყვარდა აფხაზეთი, აფხაზი ხალხი. არაერთი გულწრფელი სტრიქონი უძღვნა მათ.

...მერე, ის სასტიკი ომი დაგვატყდა თავს და მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. 1993 წლის 27 სექტემბერს, როგორც კი სოხუმი დაეცა, ხუტა ჯღამაძე სახლიდან გაიყვანეს და პოეტი მეუღლის თვალწინ დახვრიტეს. გაუბედურებულმა ქალმა არ დატოვა სოხუმი და იქვე დარჩა. აფხაზმა მეგობრებმა თითქოს საიმედოდ გადამალეს, მაგრამ ულმერთო, სასტიკი ადამიანებისაგან მაინც ვერ დაიფარეს. მეუღლის დახვრეტიდან ზუსტად ერთი თვის თავზე, 1993 წლის ოქტომბრის ბოლოს აფხაზმა სეპარატისტებმა პოეტი ქალი აწამეს და შემდეგ დახვრიტეს. ამბობენ, მაინც სჯეროდა, მაინც ენდობოდა, ვერ იჯერებდა, რომ გაიმეტებდნენო...

სწორედ მაშინ, გულდათუთქული მარიკა ბარათაშვილი დაწერს:

**...და როს მოიქუფრა ზეცა,**
**ჩატყდა სამეგობრო ხიდი?**
**უმალ მოძალადედ გექცა,**
**ვისაც ძმობილებად თვლიდი,**
**რაღაც შემზარავი ძალით**
**სახლში შემოგეჭრა მტერი,**
**თვალწინ დაგიცხრილეს ქმარი,**
**თავზე ჩამოგამხეს ჭერი.**
**შენ რომ უგალობდი გზნებით**
**დედას — შენს აფხაზეთს, მზიანს,**
**შენი სიმღერების ხმები**
**დღესაც მის ლაჟვარდში კრთიან...**
**შენ ხომ მეოცნებე იყავ,**
**შენ ხომ საგალობლებს წერდი,**
**როგორ მოაბნიეს მიწას**
**შენი დაფლეთილი მკერდი!**
**თვალი ნაღველით მაქვს სველი...**
**დავალ, შენს მკვლელებთან ვდაობ,**
**— ვინ, ვინ შემოგბედა ხელი,**
**ჩვენო თვალხატულო დაო!**
**ფიქრი ტკივილების ტყვეა,**
**მტრობით გადაბუგულ გზებზე,**
**პოეტს დაახალეს ტყვია,**
**გულში მოფართხალე ლექსებს...**

... ხსოვნა მარადიულია, მისი დიდება თაობიდან თაობებს გადაეცემა, რომ არასოდეს ჩაქრეს ხსოვნა გმირი ქალბატონისა, და ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ პატივი მიაგო პოეტის ხსოვნას, და თავდაპირველად, მის მშობლიურ სოფელ რგანში გაკეთდა ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის სიმბოლური საფლავი, ხოლო ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ სკვერს ქალბატონი ეთერის უკვდავსაყოფად ეწოდა „უვიწყარა“ და გაიხსნა მისი მემორიალური დაფა.

წლის ბოლოს კი, ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა საღამო — „შენ გამო ჩვენი სული ღონდება, სულ გვეფიქრები და გვედარდები.“ საღამოზე გაიხსენეს პოეტის ბიოგრაფია და შემოქმედება, წაკითხული იქნა მისი ლექსები, ასევე შესრულდა ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ლექსებზე შექმნილი სიმღერები. ღონისძიებას ესწრებოდნენ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დიმიტრი ჯაიანი,იმერეთის გუბერნატორი ზაზა მეფარიშვილი,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველი ქარუმ წერეთელი, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელი სულხან მახათაძე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პოეტის ოჯახის წევრები და სხვა მოწვეული სტუმრები, რომლებით სევდითა და ცრემლით იხსენებდნენ მომხიბვლელ პოეტს,მის შემოქმედებას, აფხაზეთში, 20 წლის წინათ დატრიალებულ ტრაგედიას და აღფრთოვანებით საუბრობდნენ ამ ღონისძიებისა და პოეტის უკვდავყოფის მნიშვნელობაზე.

**დიმა ჯაიანი:** ძალიან ბევრი ქალბატონი და ბატონი შენატროდა ქალბატონ ეთერ სამხარაძე-ჯღამაძეს სოხუმში და ამის მიზეზი ჰქონდათ. ის ხომ ქალაქში გამორჩეულად ლამაზი ქალბატონი იყო! მას ხომ უმშვენიერესი ოჯახი ჰქონდა! ის ხომ ყველასათვის სასურველი სტუმარი და გულუხვი მასპინძელი იყო! მაგრამ, ერთადერთი, რაც მას სხვებისგან განასხვავებდა, შესანატრს ხდიდა, მისი პოეზია იყო, მასში ლაღი, სიცოცხლით სავსე,სიყვარულით და სიკეთით გაჯერებული სული ცოცხლობდა და ამ სულის გამოძახილს თავის ლექსებში აქსოვდა... დიდი მადლობა ჭიათურას, იმერეთს ამ საოცარი საღამოსათვის. ეს არის საკუთარი თავის პატივისცემა. ასეთი საღამო,რომელიც ეძღვნება ქალბატონს, რომელიც ჩვენ სიგიჟემდე გვიყვარდა, ასე მოეფერო, მართლაც აღსანიშნავია. მართალია, ჭიათურიდან გახლდათ წარმოშობით, მაგრამ მთელი ცხოვრება აფხაზეთში გაატარა. ეს იყო დაუვიწყარი საღამო.

**ვახტანგ ყოლბაია:** საღამო იმედიანია იმის გამო, რომ ქალბატონი ეთერი თავისი პოეზიით, ცხოვრების წესით, ოპტიმიზმს ბადებდა, ოპტიმიზმს აფქვევდა. ოპტიმიზმი და იმედი არის ზუსტად ის, რაც გვჭირდება ჩვენ, აფხაზეთიდან წამოსულ ხალხს. მადლობა მინდა, ვუთხრა ჭიათურის გამგებელს ბატონ სულხან მახათაძეს, აქაურ საზოგადოებას, ინტელიგენციას, ხალხს, რომელმაც მეორე სიცოცხლე დაუბრუნა ქალბატონ ეთერს.

**გია გვაზავა:** საოცარი ადამიანი იყო ქალბატონი ეთერი, ამიტომ ასეთი საღამოები არამარტო გვახსენებს აფხაზეთს, არამედ ეუბნება ყველას — აფხაზეთი არის საქართველო. ჩვენ აფხაზეთის დაბრუნება კი არ გვინდა, აფხაზების დაბრუნება გვინდა საქართველოში და ქართველების დაბრუნება გვინდა აფხაზეთში. ეს არის ამ საღამოს ძირითადი შინაარსი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II კი ამბობს:

— აფხაზეთის ომი და ოცი წლის წინათ მომხდარი ტრაგედია, რომელიც ჩვენს ქვეყანას თავს მოახვიეს, მოუშუშებელი ჭრილობაა საქართველოსი. პოეტი ქალბატონის ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის და მისი მეუღლის ხვედრიც ამ დაპირისპირებისას დატრიალებული ცოდვა-ბრალის მაგალითია. ასეთი ტკივილის განკურნება მხოლოდ შენდობით, პატიებითა და სიკეთით არის შესაძლებელი, რადგან ესაა წამალი ბოროტებისა.

აღვავლენთ ლოცვებს ქალბატონი ეთერის ნათელი სულის საოხად და შევთხოვთ უფალს, მასთან ერთად მოიხსენიოს და აცხოვნოს სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირული სხვა ჩვენი სულიერი შვილებიც,როგორც ქართველები, ისე აფხაზები.

დაე, მსგავსი ტრაგედია აღარასოდეს განმეორდეს!

**მარიკა ხვედელიძე**

◎ ალიან-ჩალიანი

## „ენერგო-პრო ჯორჯია“ მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადადის

**„ენერგო-პროს“ ინფორმაციით, ზამთარში სეზონურ კურორტებზე ელექტროენერგიის მოხმარება თითქმის 100%-ით იზრდება. ამ პერიოდში „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ტექნიკური სამსახური მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადადის. შესაბამისად, კომპანიის ბაკურიანის სერვის ცენტრი უკვე გადავიდა 24-საათიან სამუშაო რეჟიმზე.**

**ბაკურიანში „ენერგო-პრო ჯორჯია“ 4000 აბონენტს ემსახურება. ბოლო დღეების განმავლობაში, დაახლოებით 200 აბონენტს ელექტროენერგია შეზღუდვით მიეწოდებოდა, რაც დროის მოკლე მონაკვეთში ელექტროენერგიის მოხმარების მკვეთრი ზრდით იყო გამოწვეული. ამ დროისთვის, აღნიშნული აბონენტების ენერგო მომარაგების პრობლემა მოგვარებულია. ჩატარდა ყველა ის ტექნიკური სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფდა მათ უწყვეტ ენერგომომარაგებას.**

**„ენერგო-პრო ჯორჯია“ ავარიული სიტუაციების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ქსელში ატარებს.**

**ინტერპრესი**

ხელბურთი



# ფინალისტები ხვალ გამოვლინდებიან

**ხორვატიის ქალაქ უმაგში გუშინ დაიწყო 18-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირი. VI ჯგუფში ფინალური ეტაპის (პოლონეთი, 14-24 აგვისტო) 16 გუნდში მოსახვედრად საქართველოს ნაკრები მასპინძლებს, ჰოლანდიელებსა და მაკედონიელებს შეხვდება.** ამ შეჯიბრებისთვის ჩვენები სერიოზულად მოემზადნენ: ზაფხულში საწვრთნელი შეკრება გაიარეს, ხოლო შემოდგომაზე ერევანში სომხეთის პრემიერ-მინისტრის თასზე გამართული საერთაშორისო ტურნირი მოიგეს, სადაც გადამწყვეტ პაექრობაში რუსეთის ნაკრებს სძლიეს — 33:28. ხორვატეთში გამგზავრების წინ გუნდის წევრები დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე ვარჯიშობდნენ. ნაკრების მწვრთნელის — ტიტე კალანდაძის ხელმძღვანელობით. უმაგში საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავენ **მეკარეები** — ზურაბ ცინცაძე (პეგასი, დაიბადა 03.10.1996, სიმაღლე 178 სმ), დემეტრე ნარსია (პეგასი, 22.10.1997, 188), **ხაზის მოთამაშეები** — ჯაბა ხაჟომია (სამტრედია, 03.08.1996, 182), გიგა კოხრეიძე (პეგასი, 16.12.1996, 187), გაგა დემეტრაშვილი (პეგასი, 31.05.1996, 187), **გამთამაშებლები** — ამირან აბჟანდაძე (პეგასი, 06.01.1996, 185), ვლადიმერ ბაძაღუა (პეგასი, 30.12.1996, 173), **შუამარბები** — თემურ ორჯონიკიძე (სტუ, 07.02.1996, 195), ალექსანდრე ცხვარაშვილი (პეგასი, 06.11.1996, 180), გივი გიორგაძე (იმედი, 21.01.1996, 190), მიხეილ ნაზღაიძე (პეგასი, 03.01.1998, 182), **გარემარბები** — ირაკლი გოგოლაძე (სტუ, 05.11.1996, 177), გიორგი დოლმაზაშვილი (ყვარელი, 22.02.1998, 179), გიორგი დიხამინჯია (პეგასი, 21.06.1997, 178). ჯგუფიდან ფინალში ორი გუნდი გადის.

**ლექსო ცინცაძე**

ფიგურული ციგურაობა

# ბუდაპეშტში - 13 იანვრიდან

**უნგრეთის დედაქალაქი 13-19 იანვარს ფიგურულად მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. მოასპარეზეთა შორის საქართველოს წარმომადგენლებიც იქნებიან. ქალებში 29 ქვეყნის 41 სპორტსმენს შორის მედლებისთვის იბრძოლებს ევროპის ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი ელენე გედევანიშვილი, რომელიც ბრაიან ორსერის ხელმძღვანელობით ემზადება კანადაში. შარშან მან ობერსტდორფში (გერმანია) სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საგზური დაიმსახურა და ოლიმპიადაზე 18-19 თებერვალს გაუწევს მეტოქეობას პლანეტის უძლიერეს მოციგურავეებს.**

ბუდაპეშტში ყინულზე ცეკვებში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ ოთარ ჯაფარიძე და ანგელინა ტელეგინა. წყვილი ამერიკაში ვარჯიშობს ევგენი პლატოვის ხელმძღვანელობით. ჩვენმა დუეტმა ამას წინათ კიევის სალიცენზიო ტურნირზე რეიტინგი აიმაღლა და მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.



გედევანიშვილი 15 იანვარს მოკლე პროგრამით ისრიალებს. ამავე დღეს შეჯიბრებაში ჩაებმებიან ოთარი და ანგელინაც, ისინიც მოკლე პროგრამით, ხოლო 16-ში თავისუფალი პროგრამით მოსინჯავენ ძალებს. ქალებში მედლების მფლობელთა ვინაობას 17 იანვარს შევიტყობთ.

**ლაშა დიდია**

ჩოგბურთი



# მთავარ ბადემდე ნაბიჯიღა დარჩა

**მელბურნში გრძელდება ავსტრალიის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ორთაბრძოლები.** ძირითადი ბადისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ანა ტატიშვილმა — გუშინ მე-2 წრეში მან სამ სეტში დაამარცხა რუსი ეკატერინა ბიჩკოვა — 6:4, 6:7, 6:4 და დღეს გადამწყვეტ პაექრობას გამართავს 19 წლის იაპონელ რიზა ოზაკისთან, რომელიც მსოფლიო ქალთა რეიტინგში 184-ეა. ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელმა გუშინ თანატოლი ბელგიელი, კლასიფიკაციაში მასზე 42 საფეხურით მაღლა მდგარი ენ-სოფი მესტაჩი ჩამოიშორა გზიდან — 6:2, 3:6, 6:4.

**გივი გაგუა**

ლეგიონერი

# დუდა სანაძის საუკეთესო მატჩი

**„სან დიეგო ტორეროსმა“ ამერიკის სტუდენტური ლიგის საკუთარ კონფერენციაში პირველი მატჩი მოიგო და ამაში დუდა სანაძის წილი უდიდესია. „ლოიოლა მერიმაუნთთან“ მოგებულ (74:67) შეხვედრაში ქართველმა უკანახაზელმა მატჩის საუკეთესო შედეგი დააფიქსირა.**

**სანაძემ ლიდერის თვისებები კარგად წარმოაჩინა და გადამწყ-**



**ვეტ ეპიზოდში თავის გუნდს დიდი დახმარება გაუწია, რამაც იქონია კიდეც გარდამტეხი ეფექტი.**

გასული შეხვედრა სანაძის ამერიკულ კარიერაში საუკეთესოა. მან პირადსარეკორდო 22 ქულა მოაგროვა, რასაც 5 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მიამატა. დუდამ სასტარტო ხუთეულში 24 წუთი ითამაშა და 10-დან 4 ორქულიანი და 15-დან 14 საჯარიმო ჩააგდო. სანაძეს 5 ქულა ჰქონდა ჩაგდებული მეორე ტაიმის მე-5 წუთისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ დარჩენილ 15 წუთში 17 ქულა მიითვალა.

ანგარიში 52:51 იყო სანდიეგოელთა სასარგებლოდ, როცა სანაძემ ორქულიანი და მას მოყოლილი საჯარიმო ჩააგდო, ხოლო შეტევაზე წამოსულ მეტოქეს ბურთი ჩაუჭრა და შეტევა ზუსტი გარღვევით დააგვირგვინა, რისი წყალობითაც „ტორეროსი“ 57:51 დაწინაურდა.

ქართველმა უკანახაზელმა ამის შემდეგაც ჩააგდო ე.წ. „ენდ ვანი“ (ორქულიანი და მას მოყოლილი საჯარიმო), ხოლო მატჩის მიწურულს მასზე აღებული ყველა ტაქტიკური ჯარიმა ქულებად აქცია.

„სან დიეგოში“ გამორჩეულად ითამაშა აგრეთვე გუნდის გამთამაშებელმა კრისტიან ანდერსენმა, რომელიც კალიფორნიელებს 20 ქულით შეეწია, ხოლო დენის კრამერის ანგარიშზე 14 ქულა და 2 დაფარება დაგროვდა.

„ტორეროსმა“ სტუდენტური ლიგის პირობითად პირველი ეტაპი არასაკონფერენციო გუნდებთან 9 გამარჯვებითა და 4 მარცხით დაასრულა, ხოლო დეკემბრის ბოლოდან მხოლოდ საკუთარ „ვესთ ქოუსთის“ კონფერენციაში დაიწყო ასპარეზობა. 3 მარცხის შემდეგ გუშინდელი გამარჯვება სანდიეგოელებისთვის კონფერენციაში პირველი იყო.

მომდევნო მატჩს „ტორეროსი“ დღეს შინ „პეპერდაინთან“ გამართავს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

დღეს

# ჩავი მადრიდში მოსაგებად ჩადის

**დღეს ესპანეთის პრიმერადივიზიონში სეზონის ერთ-ერთი საკვანძო მატჩი ჩატარდება — მადრიდის „ვისენტე კალდერონზე“ ერთმანეთს ლა ლიგის ლიდერები „ატლეტიკო“ და „ბარსელონა“ შეხვდებიან. 18 ტურის შემდეგ კასტილიელებს და კატალონელებს იდენტური მაჩვენებლები აქვთ: 16-16 მოგება, თითო-თითო ფრე და წაგება.**

„ატლეტიკოსთან“ დაპირისპირება ჩვენთვის სასიცოცხლოდაა მნიშვნელოვანი. უნდა დავამტკიცოთ, ჩემპიონობის ფავორიტები რომ ვართ. მეტოქე კარგ ფორმაშია, საკუთარ მინდორზე ტრადიციულად ძლიერია, მაგრამ შეხვედრის სირთულის მიუხედავად, მოსაგებად ვითამაშებთ. მოხარული ვარ, პაუზის შემდეგ მესი წარმატებულად რომ დაგვიბრუნდა — ლეომ „ხეტაფეს“ 2 გოლი გაუტანა და მერამდენედ დაამტკიცა თავისი ფენომენალური მონაცემები“, — AS-ის კორესპონდენტთან საუბრისას ბარსელონელთა შუახაზელმა ჩავიმ მადრიდში მოგების რწმენა დაადასტურა.



**მანუჩარ გიორგაძე**

პერსპექტივა

# აზარი „პსჟ“-ში გადავა

**ზაფხულის სატრანსფერო სეზონში ლონდონის „ჩელსის“ ნახევარმცველი ედენ აზარი „პარი სენ-ჟერმენში“ გადასვლას გეგმავს. ამის შესახებ Le Parisien-ი იუწყება.**

ალნიშნული წყაროს ცნობით, ბელგიელმა თავის ერთ-ერთ თანაგუნდელს გაუმხილა, რომ ზაფხულში პარიზში გადასვლას აპირებს. სავარაუდოდ, ფრანგებს აზარის ტრანსფერი 50-დან 60 მილიონ ევრომდე დაუჯდებათ.

**ცნობისათვის,** მიმდინარე სეზონში აზარმა „ჩელსის“ მაისურით 27 მატჩი ჩაატარა და 10 გოლის ავტორი გახდა.

**გიორგი შოთაძე**



ესაა სასჯელი?!

# ედი ირვაინს ექვსი თვე მიუსაჯეს

**ფორმულა ერთის ყოფილ მრბოლს, 48 წლის ედი ირვაინს ექვსთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ეს სასჯელი მან მილანის ღამის ბარ „ჰოლივუდში“ 2008 წელს მომხდარი ჩხუბის გამო დაიმსახურა. როგორც გამოძიებამ აჩვენა, მიხაელ შუმახერის ყოფილმა თანაგუნდელმა ბარში მილანის ყოფილი მერის შვილი გაბრიელე მორატი სცემა.**




სასამართლოს დროს ირვაინიც და მორატიც ერთმანეთს ადანაშაულებდნენ იმაში, რომ ჩხუბისას დამტვრეული შუშა გამოიყენეს, საბოლოოდ კი მოსამართლემ ორივეს „დაუჯერა“ და მორატიც დასაჯა. თუმცა, სავარაუდოდ, ციხეში არცერთი მათგანი არ ჩაჯდება და ორივეს საბოლოოდ პირობით სასჯელს დაუტოვებენ.

ირვაინი ფ1-ის მრბოლი 1993-2002 წლებში იყო და სულ ოთხი რბოლა აქვს მოგებული. ოთხივე გამარჯვება მან „ფერარის“ ბოლიდით 1999 წელს მოიპოვა, როცა სილვერსტოუნზე მიღებული ტრავმის გამო სეზონს მეორე ნახევრიდან შუმახერი გამოეთიშა. იმავე სეზონში მას ჩემპიონობის რეალური შანსი ჰქონდა, თუმცა საბოლოოდ მიკა ჰაკინენთან პაექრობაში დამარცხდა.

**როსტომ რაჭველიშვილი**

კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● „რუსთავი 2“-ზე რამდენჯერაც გადავრთე, იმდენჯერ მღვდელი ლაპარაკობდა. ჯოჯუამ ამინდის პროგნოზის მაგივრად დაუჯდომელი წაიკითხა.

● უგულავა უეჭველი გაიქცევა, სიდედრს მაგრად დაერხევა და სიმამრი „ვოლგას“ უყიდის! მერე ვიღაცა იტყვის, რომ მაგარი მენეჯერია, ისეთი გათვლა გააკეთაო.

● კოჰაბიტაცია, სავარაუდოდ, „ძველით 2014 წელს“ დამთავრდება.

● ეხლა ერთი რამ უნდა ვთქვა და ვისაც გულზე მოხვდება, ეგრეც უნდა! მიზანში მომიხვედრებია ესე იგი! ეს მოდური ჯგუფები რომ პანტაპუნტით იქმნება:

გადავარჩინოთ ვაკის პარკი“.. „ქალაქის მერი თბილისელი იყოს“, „გადავარჩინოთ იტდ იტპ“....... ერთი დამანახა ამ ჯგუფების ადამიანებისაგან და სხვა ყველაზე მაგრებისაგან გაკრიტიკებული საყდრისის თემა? სად ხართ? გძინავთ? თუ ეს თქვენს მაღალ-სნობურ პატივმოყვარეობას აჭარბებს, ააა?

● კოხხაბიტაცია დაამთავრა ამ კაცმა და გადადო ჩხირები, თუ გავაგრძელო საღათას ძილი?

● ვისაც მადრიდში, ბონში, ლონდონში ან ნიუ-იორკში ერთხელ მაინც საზოგადოებრივ ტუალეტში მოუშარდავს, დანარჩენ საქართველოზე ჭკვიანი რატომ გონია ყველას თავი?

● ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ ხელისუფლებას ეზარება ქვეყნის მართვა ზეზეულად ძინააავთ.




● კი ბატონო, მართალია, დაგიჯერეთ და გავბრაზდით კიდეც ამ უსამართლობის გამო, მაგრამ რად გინდა, პროკურატურა (ნაცებით სავსე პროკურატურა!!!) ისე შეფუთავს მაგ საქმეს, სასამართლო დაადგენს, რომ დაზარალებული კანონის ფარგლებში იქნა ღირსება-აყრილი და გაუპატიურებული!!!

ესეც თქვენი სამართალი!!!

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, სამეცნიერო საბჭოს წევრი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

**ნოდარ ჯიბლაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კოლეგასა და მეგობარს კახა ქორიძეს ბებიის, უკეთილშობილესი ქალბატონის

**ციალა ციციშვილის**

გარდაცვალების გამო.

კი არ გააჩერეს, შეაჩერეს!

# „ბათუმი თაუერის“ წესრიგში მოყვანას კიდევ 6 მლნ ლარი დასჭირდება

**ყოფილი ხელისუფლება და მათი ამჟამად აშშ-ში გადახვეწილი ლიდერი ცხარე ცრემლებით დასტიროდნენ მათი წამოწყებული პროექტების ახალი მთავრობის მიერ შეჩერებას. იმას კი არ ამბობდნენ, რომ დაგეგმილი გრანდიოზული, „საუკუნის პროექტებად“ მონათლული მშენებლობები ტექნიკურად გაუმართავი და ეკონომიკურად გაუთვლელი იყო. ერთ-ერთი ასეთი პროექტია შენობა, რომელშიც ტექნოლოგიური უნივერსიტეტი უნდა განთავსებულიყო. მეცნიერთა მოსაზრებით, ის სრულიად ვერ აკმაყოფილებს უმაღლესი სასწავლებლის ელემენტარულ მოთხოვნებს და მხოლოდ გარეგნული იერითა და პომპეზურობით იპყრობს ყურადღებას. ამის გამო პროექტი შეჩერდა.**

რაც უკვე გაკეთებულია, სახელმწიფოს 78 მლნ ლარი დაუჯდა. მის დასასრულებლად მშენებლებს კიდევ 5-მილიონიანი ვალდებულება აქვთ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. როგორც აჭარის მთავრობის მეთაურის ამასწინანდელი განცხადებიდან ირკვევა, შენობის დასამთავრებლად ბიუჯეტიდან დამატებით 6 მლნ ლარი გახდება გამოსაყოფი.

ტექნოლოგიური უნივერსიტეტისთვის განკუთვნილი ნაგებობა შპს „ბათუმი თაუერის“ ბალანსზეა, რომლის დამფუძნებელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროა. ახალი მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ინფორმაციით, უნივერსიტეტისთვის გადასაცემ შენობაში ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო განთავსდება. მინისტრის ცნობით, უკვე არის შემოთავაზებები 4-5 საინვესტიციო კომპანიისგან, რომელთაც ღია ტენდერში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს.

ამჟამად მზადდება წინადადებები და მისი დამთავრებისთანავე გამოცხადდება ტენდერი (იმედია არა ისეთი „ღია“, როგორიც ეს ნაციონალების ზეობის დროს ხდებოდა – ავტ.), აცხადებს კვირიკაშვილი და იმედს გამოთქვამს, რომ შენობას პირველ კვარტალში უკვე ეყოლება ინვესტორი.

„ნაცების“ მტკიცების მიუხედავად, რომ სხვა პროექტების მსგავსად, მშენებლობა აქაც გაჩერებულია, ირკვევა, რომ ის კი არ გააჩერეს, არამედ შეაჩერეს, სწორედ „ვარდოსნების“ ხელისუფლების წინდაუხედავი ნაბიჯებისა და ყოველგვარი გათვლების, მეცნიერულ დასკვნებს მოკლებული გადაწყვეტილების გამო.

**ზაზა ბილიხოძე**

## შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტი (KRRIP)**
განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**
ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P117152**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **KRRIP/CS/QCBS-02**
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **სასადილო - სიონის რეაბილიტაციის სამუშაოების ზედამხედველობა საავტომობილო გზაზე კმ0+000 - კმ17+438** (პროექტირება & მშენებლობა)
ტენდერის სახეობა: **ხარისხზე და ფასზე დაფუძნებული შერჩევა**
კონტრაქტორი: **შ.პ.ს. „როტონ ინთერნეიშენალი“**
მისამართი: **ა2 ომეგა პარკი, ელექტრონ ვეი ჩენდლერს ფორდ, ჰემფშირი, შ 53 4შ , დიდი ბრიტანეთი.**
კონტრაქტის ღირებულება: **$761,690.00 აშშ დოლარი** (შვიდას სამოცდაერთი ათას, ექვსას ოთხმოცდაათი აშშ დოლარი) **პლიუს £278,611.00 ბრიტანული ფუნტი სტერლინგი** (ორას სამოცდათვრამეტი ათას, ექვსას თერთმეტი ბრიტანული ფუნტი სტერლინგი).
კონტრაქტის ხანგრძლივობა: **17 თვე** კონტრაქტის ზედამხედველობისთვის და დეფექტების გამოსწორების პერიოდი 12 თვე - ჯამში 29 თვე.

## Contract Award Notification

Project Name: **Kakheti Regional Roads Improvement Project (KRRIP)**
The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**
Country: Georgia
Project Number: 117152

Bid/Contract Reference No: **KRRIP/CS/QCBS-02**
Scope of Contract: **Supervision of works for rehabilitation of Sasadilo-Sioni km 0+000 to km 17+438 road section (design –build)**
Bid type: **Quality and Cost Based Selection**
Contractor: **Roughton International Ltd.**
Address: **A2 OMEGA PARK, ELECTRON WAY CHANDLERS FORD, HAMPSHIRE, SO53 4SE UK**
Total contract cost: **$761,690.00** (seven hundred sixty one thousand, six hundred ninety) US Dollars plus **£278,611.00** (two hundred seventy eight thousand, six hundred eleven) British Pounds inclusive of local indirect taxes.
Contract duration: **17 MONTHS FOR CONTRACT SUPERVISION AND A DEFECT LIABILITY PERIOD OF 12 MONTHS – ALL TOGETHER 29 MONTHS**

სანთელი

# ელვერ კუპატაძის გაუსაძლისი მონატრება



ჩვენო **ელვერ,** 12 იანვარს ორი წელი ხდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ! ადრე თუ გვიან გარდაცვალება რომ კაცთა წესია, ყველას კარგად მოგვეხსენება, მაგრამ შენ, სიცოცხლით, გასაოცარი ჯან-ღონითა და მუდამ ჭაბუკური ენერგიით აღსავსეს, თუ კი ოდესმე რამე წაგაქცევდა, ვერავინ წარმოვიდგენდით, მაგრამ უფალმა ინება ამგვარად...

შენი ზეციურ საქართველოში გადაბრძანების შემდეგ ორი შვილიშვილი შემოემატა შენს ოჯახს: მარიამი, რომელიც ძალიან გგავს და პატარა ვაჟკაცი – ლუკა, რომლებიც მხოლოდ სურათით გიცნობენ და გიღიმიან...

ყველას ტკივილამდე გვენატრები: მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებსა და დედმამიშვილებს, მათ ოჯახებს.

უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი მუდამ სიკეთის კეთებისაკენ მიდრეკილი სული!

**მერი, მევლუდ, თეონა, თორნიკე, ლოტბერდ და ელზა კუპატაძეები**

# დალი გამეზარდაშვილის გახსენება



13 იანვარს ერთი წელი ხდება ჩვენთან შენი განშორებისა. ტკივილიანი და ცრემლიანი ერთი წელი. გულს არ სცილდება შენი უსაზღვრო მონატრება და სევდა. ძალზე ძნელია უშენობა.

წახვედი და თან წაიღე ჩვენი სიხარული. შენ იყავი უსაყვარლესი მეუღლე, დედა, შვილი, და და მეგობარი. შენ წახვედი და დატოვე უკეთილშობილესი და უერთგულესი სახელი.

ჩვენო დალიკუნა, შენ თბილისში გიცნობდნენ, როგორც სიკეთის მთესველ და საყვარელ ადამიანს. ცხოვრების გზა განვლე უანგაროდ, უღალატოდ, ერთგულებით და კეთილსინდისიერებით.

იძინე მშვიდად შენი საყვარელი მამის მკერდზე და ღმერთს შევთხოვ, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს ცათა სასუფეველი.

**შენი ოჯახი**

ინფორმაცია

## პირადობის მოწმობები უფასოდ მიიღეს

**პედაგოგებისთვის** პირადობის ახალი მოწმობების უფასოდ გაცემის აქციით ამ დრომდე უკვე 13 000-ზე მეტმა პედაგოგმა ისარგებლა.

იუსტიციის სახლის ინფორმაციით, აქცია 2013 წლის 23 დეკემბერს დაიწყო და მიმდინარე წლის 23 იანვრამდე გასტანს.

სტატისტიკური მონაცემებით, იუსტიციის სახლებსა და სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს 23 დეკემბრიდან დღემდე უკვე 13 000-ზე მეტმა პედაგოგმა მიმართა, აქედან 9 000-მდე პედაგოგმა უკვე მიიღო მზა დოკუმენტი.

აქცია იუსტიციის მინისტრის ინიციატივით ხორციელდება – კერძოდ, საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგებს, რომლებსაც პირადობის მოწმობა ჯერ არ აუღიათ, საშუალება ეძლევათ, პირადობის ახალი დოკუმენტი სრულიად უფასოდ მიიღონ.

აღსანიშნავია, რომ აქციით სარგებლობისათვის პედაგოგებს არავითარი დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა არ მოეთხოვებათ, რადგან მათი იდენტიფიცირება მონაცემთა ბაზის მიხედვით ხორციელდება.

2013 წელს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, უფასო პირადობის მოწმობები უკვე გადაეცათ სრულწლოვან დევნილებსა და რეგისტრაციიდან მოხსნილ პირებს. აქციების ფარგლებში, საერთო ჯამში 75 000-მდე უფასო პირადობის მოწმობა გაიცა.

**ინტერპრესი**

⦿ სულიერება

# ქრისტეშობის დღესასწაულის წარგზავნა

## ფსალმუნთა მთქმელი დავით მეფე. იოსებ დამწინდველი. იაკობ მოციქული



**12 იანვარს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ბევრ დღესასწაულს აღნიშნავს...**

**...დავით მეფე (ძვ. წ. 1055-1015 წ.წ.) იყო იუდეის და ისრაელის გაერთიანებული სამეფოს დამაარსებელი, ის მწყემსი იყო, მან ფილისტიმელთა გოლიათი დაამარცხა და მეფე საულმა ჭაბუკობაშივე მხედართმთავრად დანიშნა, თანაც თავისი ქალიც მიათხოვა.**

დავითის პოპულარობას მეფე შეუშინებია და მისი მოკვლა განუზრახავს. საულის დაღუპვის შემდეგ დავითი მეფედ აირჩიეს...

აღსანიშნავია, რომ ქართული სამეფო ბაგრატიონთა გვარი თავის წინაპრად დავითს მიიჩნევდა და დავითიან-ბაგრატოვანებად იწოდებოდნენ.

მეფე დავითს მიეწერება ფსალმუნების შექმნა. მას საქართველოში „დავითნს“ ეძახიან. ჩვენს დიდ კეთილმორწმუნე მეფეს დავით აღმაშენებელს „დავითნი“ განუშორებლად თან დაჰქონდა ბრძოლების დროს...

* * *

იოსებ დამწინდველი სამეფო გვარის წარმომადგენელი და დავითის შთამომავალი იყო, მაგრამ თავისი წინაპრების დიდება და სიმდიდრე შესაბამისად ვერ შეინარჩუნა. ის საკუთარი ხელით შრომობდა. ღვთაებრივი მარიამი, რომელიც ტაძარში იყო აღზრდილი, გაჰყვა თავის დამწინდველს, მისი სახით ღმერთმა მარიამს ქალწულებრივი ცხოვრების მცველი და მფარველი მისცა.

* * *

წმინდა იაკობ მოციქული იოსებ დამწინდველის შვილი იყო პირველი ცოლისგან და ამიტომაც, სახარებაში უფლის ძმად მოიხსენიება. ის იერუსალიმის ეპისკოპოსი იყო.

იაკობ მოციქული ისეთი კეთილგონიერებით და სამართლიანად იქცეოდა, რომ მას არა მხოლოდ ქრისტიანები სცემდნენ თაყვანს, არამედ იუდეველებიც და თავიანთი ე. ი. ხალხის დასაყრდენს და მართალს უწოდებდნენ. მისი ეპისტოლეს მთავარი მიზანი არის ის, რომ „სარწმუნოება თვინიერ საქმეთაისა მკუდარ არს“ (რწმენა საქმის გარეშე მკვდარია).

**გიული ლიპარტია**

⦿ ჩვენი პრესდაიჯესტი

## ჟურნალ—ი გაზეთებიდან



### „პატრიარქის წინააღმდეგ მიზანმიმართული დისკრედიტაციული კამპანია მიმდინარეობს“

— დარწმუნებულია საზოგადოებრივი ურთიერთობის მართვის სპეციალისტი არჩილ გამზარდია, — ეს ახალი არაა, ეს მუდმივი კამპანიაა, როგორც ვიცით, პატრიარქის დისკრედიტაცია მისი აღსაყდრების დღიდან მიმდინარეობს. ჩემს ბავშვობაში დადიოდა ზოგან ჭორი, რომ პატრიარქი მკვლელობაზე იყო ნაციხარი, გაუპატიურებაზე ნასამართლევი და ა. შ. ცხადია, ამ ჭორებს რუსული სპეცსამსახურები ავრცელებდნენ, გრძნობდნენ, რა რომ პატრიარქის დიპლომატიას ძალიან ბევრი ვერ ჯაბნიდა. პატრიარქის დისკრედიტაციის დამფინანსებლები რუსულ სპეცსამსახურებში უნდა ვეძებოთ და არა პირიქით, როგორც ცდილობენ, გაატარონ აზრი, რომ პატრიარქი რუსული ინტერესების მატარებელია.

**„ახალი თაობა“**

### მაისაშვილი პრემიერს ეკონომიკური გუნდის შეცვლას ურჩევს

„ლიდერთა სკოლის“ ხელმძღვანელი გია მაისაშვილი, შესაძლოა, პოლიტიკაში დაბრუნდეს და თვითმმართველობის არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. მაისაშვილის თქმით, მის პარტიაში ცნობადი სახეები არ იქნებიან და საშუალო ფენის პრობლემატიკაზე იქნებიან ორიენტირებულები. მაისაშვილი კომენტარს ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობაზეც აკეთებს და პრემიერ-მინისტრს ეკონომიკური გუნდის შეცვლისკენ მოუწოდებს. ასეთი „ნათლიმამობა“ და ნეპოტიზმი თვით სააკაშვილის დროსაც კი არ ყოფილა, — ამბობს მაისაშვილი.

**„რეზონანსი“**

⦿ ჩვენი კარაბადინი

# კუჭის წყლული ციფრებსა და ფაქტებში

**ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების მოზრდილი მოსახლეობის 6-10 პროცენტს აწუხებს წყლულოვანი დაავადებანი.**

კუჭის წყლულის 38 პროცენტი მთელ მსოფლიოში დაკავშირებულია ჰელიკობაქტერია პილორის ბაქტერიებთან.



მამაკაცებში კუჭის წყლული 4-ჯერ უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ქალებში.

**კუჭის წყლულით დაავადებათა 80 პროცენტი მოდის 20-30 წლის ასაკის პირებზე.**

წყლულის დაავადებანი ყველაზე ხშირად გვხვდება ქალაქის მოსახლეობაში, ვიდრე სოფლისა.

კუჭის წყლულის მიზეზები: ქრონიკული, უკურნებელი გასტრიტი; ჰელიკობაქტერია პილორის ბაქტერია; მემკვიდრეობითი წინასწარ მიდრეკილება ამ დაავადებისადმი; ნესტეროიდული ანთებისსაწინააღმდეგო პრეპარატების მიღება.

ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ დაავადების გამწვავებას: სტრესი, არასწორი კვება, თამბაქოს მოწევა, მაგარი ალკოჰოლიანი სასმელების ბოროტად გამოყენება...

წყლულოვანი დაავადების განვითარების რისკს 50 პროცენტით ზრდის მუშაობა ღამის ცვლაში.

დაავადების სიმპტომებია: ტკივილი კუჭში საკვების მიღებისთანავე ან ჭამიდან საათი-საათნახევრის შემდეგ, წვა, ბოყინი, გულისრევა, მიდრეკილება ყაბზობისკენ.

**წყლულოვანი დაავადებების შემთხვევების 30 პროცენტი არასისტემურია.**

ქალაქის საავადმყოფოების გასტროენტეროლოგიური განყოფილებების 50 პროცენტი „წყლულოვანები“ არიან. წყლულოვანი დაავადება — საჭმლის გადამმუშავებელი ორგანოების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა.

**ყველა წყლულოვან დაზიანებათა 20 პროცენტი — კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის შეთავსებითი წყლულებია.**

წყლულს კურნავენ იმ პრეპარატებით, რომლებიც ანეიტრალებენ მარილმჟავის გამომუშავებას; ანტიბიოტიკებით პიროლის ჰელიკობაქტერის დათრგუნვისთვის; პრეპარატებით, რომლებიც კუჭის ლორწოვანას აღდგენის პროცესებზე ახდენენ გავლენას, და დიეტით.

**ავადმყოფმა კუჭის წყლულით დღე-ღამეში 5-6-ჯერ უნდა ჭამოს, პატარ-პატარა პორციებით.**

⦿ ინფორმაცია

### ინციდენტი „რუსთავი 2“-ის შენობასთან

**„რუსთავი 2“-ის შენობასთან ხუთშაბათს, გვიან ღამით მამაკაცმა ბენზინი გადაისხა და თავის დაწვა სცადა. ამის მიზეზად მამაკაცი სამსახურიდან გათავისუფლებას ასახელებდა. მისი თქმით, ის დასუფთავების სამსახურში მუშაობდა და გაურკვეველი მიზეზით გაათავისუფლეს.**

**დასუფთავების სამსახურში კი განმარტავენ, რომ აღნიშნული პირი უპასუხისმგებლო საქციელის გამო, რამდენჯერმე გაათავისუფლეს, თუმცა, მისი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, სამსახურში აღადგინეს.**

**ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა. მათ მამაკაცი მიუსაფართა თავშესაფარში გადაიყვანეს.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

⦿ ციცხალი ანეკდოტები

**ახალი წლის პირველ დღეს ჩატარებული სატელეფონო სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები ასეთია: ერთმა პროცენტმა უპასუხა „დიახ!“, ორმა პროცენტმა — „ალო!“, რესპონდენტთა დანარჩენ 97 პროცენტს პასუხის გაცემა გაუჭირდა.**

* * *

**— ჩემ ძაღლს რომ მოშივდება, ყეფას ვასწავლი. უკვე ასი ვარჯიში ჩავუტარე!**

**— მერე შედეგი როგორია, რომ მოშივდება თუ იწყებს ყეფას?**

**— არა, კაცო, ახლა მანამდე არ ჭამს, სანამ მე არ დავიწყებ ყეფას!**

* * *

**— არა, ძმაო, სკოლაში მუშაობა სრულიად შეუძლებელია!**

**— ვითომ რატომ?**

**— რატომ და საცოდავ მასწავლებელს დირექტორის ეშინია, დირექტორს — მანდატურების, მანდატურებს — სამინისტროს ინსპექტორების, ინსპექტორებს — მინისტრის, მინისტრს — მშობლების, მშობლებს — ბავშვების, ამ ბავშვებს კი ქვეყანაზე არაფრისა ეშინიათ!**



* * *

**მეგობარი ქალების საუბარი:**

**— ვერ ვიტან, ქმარი ტახტზე რომაა წამოგორებული და მარტო სპორტულ გადაცემებს უყურებს. უქნარა! არაფის მაქნისი!**

**— მე კი გონება მეკეტება, ჩემი ბუთხუზა რომ კოტრიალობს, ნელ-ნელა წრუპავს ლუდს, სიგარეტს აბოლებს, ხმას არ იღებს... მერე უცბად წამოხტება და მეუბნება: „ძვირფასო, ნეტა რას ვაკეთებთ ამხელა ბინაში გამოკეტილები? მოდი, წავიდეთ, გავისეირნოთ მაღაზიებში, ან ახალი ქურქი ვიყიდოთ შენთვის, ან რაიმე სამკაული!“**

* * *

**საცივის მამაკაცური რეცეპტი:**

**დაუძახეთ მეუღლეს და გაუშვით სამზარეულოში.**

**მერე ჩაჯექით სავარძელში ტელევიზორის წინ, თან ლუდი და სიგარეტი მოიმარაგეთ, ორი-ორნახევარი საათი და... საცივი მზად არის!**

⦿ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24